1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

15 მარტი, 2024

№ 8 [2250]

თსუ-ს გამომცემლობის ახალ ხელმძღვანელთან შეხვედრა

შეხვედრაზე იმსჯელეს გამომცემლობის რეფორმასა და რეორგანიზაციაზე

2 გვ.

ახალი ამბები

მეორე ვადით არჩეული კანცლერის ხედვა და გეგმები

3 გვ.

ლადო პაპავა ეკონომიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რომელი საერთაშორისო აკადემიის წევრად აირჩიეს?

4 გვ.

სად ამოქმედდა კვების ახალი ობიექტი?

თსუ-ში კვების ობიექტები იხსნება

თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მეათე (მაღლივი) კორპუსში კვების ობიექტი ამოქმედდა. გაზაფხულის სასწავლო სემესტრის დაწყებასთან ერთად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვების ობიექტით, რომელიც მათ ჯანსაღ და მრავალფეროვან საკვებს შეღავათიან ფასად სთავაზობს. კვების ობიექტი, ძირითადად, თსუ-ს მე-10 (მაღლივი) და მე-11 (განივი) კორპუსების, აგრეთვე, ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოემსახურება.

2 გვ.

ქალების დიდი წვლილი მეცნიერებაში

11-12 გვ.

ისლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტი თსუ-ს ეწვია

გუდნი იოჰანესონმა სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია - „პატრიოტიზმის ძალა და გამოწვევები გლობალიზებულ სამყაროში“ - წაიკითხა.

2 გვ.

სტუდენტური ფურცელი

7-10 გვ.



საერთაშორისო კონფერენცია „მიგრაცია, ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა“ თსუ-ში

5 გვ.

ქუჩა, რომელსაც „არავიძეების“ ნაცვლად ტაძრისკენ მივყავართ

თბილისში ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა გაიხსნა

6 გვ.

მიხეილ ქურდიანის საიუბილეო საღამო მწერალთა სასახლეში გაიმართა

15 გვ.

tsu.media

ქრონიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ისლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გუდნი იოჰანესონი ეწვია, რომელსაც თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა უმასპინძლეს.

ვიზიტის ფარგლებში ისლანდიის პრეზიდენტმა სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია – „პატრიოტიზმის ძალა და გამოწვევები გლობალიზებულ სამყაროში“ – წაიკითხა.

სტუდენტებთან შეხვედრაზე გუდნი იოჰანესონმა ისლანდიის გამოცდილებაზე, ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის დადებით და უარყოფით მხარეებზე, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და პატარა ქვეყნების როლზე გლობალიზაციის ეპოქაში ისაუბრა.

საჯარო ლექციას პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები და თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოში თურქმენეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, დოვლეტმირატ სეიტმამედოვთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თურქმენეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დაწყებაზე, ერთობლივი პროგრამების შემუშავებასა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლაზე ისაუბრეს.

შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თურქმენეთის უნივერსიტეტებს შორის.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ილია დარჩიაშვილთან და საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორთან თეონა იაშვილთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი, რომელიც აკაკი ჩხენკელის 150-ე საიუბილეო წლისთავის აღნიშვნის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის ფარგლებში გამოიცემა ქართველი პოლიტიკოსისა და დიპლომატის აკაკი ჩხენკელის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესახებ წიგნი-ალბომი; მოეწყობა აკაკი ჩხენკელის საარქივო და ფოტოდოკუმენტების ექსპოზიცია; ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიატისთვის დაწესდება ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ თსუ-ში წიგნის მაღაზიების დიდი ქსელის შექმნაზე და ამ ქსელში თსუ-ს გამომცემლობის გარდა სხვა გამომცემლობების წიგნების შეტანაზე ისაუბრა ღონისძიებაზე, რომელზეც ხუთ გამომცემლობასთან თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა.

ამასთან, მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით გამდიდრება. თანამშრომლობის ფარგლებში გამომცემლობები ვალდებულებას იღებენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადმოსცენ ახალი გამოცემების თითო ეგზემპლარი. უნივერსიტეტი დახმარებას გაუწევს გამომცემლობებს ახალი გამოცემების პრეზენტაციებსა და სპეციალური საუნივერსიტეტო ფასდაკლებებით გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებაში.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი ბრიუსელში დაესწრო UNICA-ს (ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტების ქსელი) დღეებს სახელწოდებით: „მომავლის ნავიგაცია: დემოკრატიის გაძლიერება განათლებისა და კვლევების დახმარებით“.

შეხვედრებში მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, სადაც განიხილებოდა, მოხსენებებისა და დისკუსიების ფორმატში, ისეთი თემები, როგორებიცაა: უნივერსიტეტების მისია დემოკრატიის განვითარების პროცესში; განათლების სფეროში ტრანსნაციონალური თანამშრომლობის განვითარება; ევროპის კვლევებისა და ინოვაციების სტრატეგიის შემუშავების ხედვები და სხვ.

გარდა უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა, შეხვედრებში მონაწილეობდნენ რუმინეთისა და სლოვენიის განათლების მინისტრები, ასევე ევროკომისარი ინოვაციის, კვლევების, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის დარგში, ევროპარლამენტის წევრები და სხვ.

მუშაობის პროცესში UNICA-ს პრეზიდენტის სორინ კოსტრიეს გენერალური მდივნის ლუჩიანო სასოსა და თსუ-ს რექტორის მოადგილეს ერეკლე ასტახიშვილს შორის მოლაპარაკება გაიმართა იმის შესახებ, რომ მომავალ წელს თსუ-ში ჩატარდეს UNICA-ს წევრი უნივერსიტეტების რექტორთა ფორუმი.

UNICA-ს ქსელში გაერთიანებულია ევროპის 40 დედაქალაქის 53 უნივერსიტეტი.

* * *

თურქეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია სამედიცინო პროფილის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან აჯიბადემის (ACIBADEM) უნივერსიტეტს ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში რექტორი, სტამბოლში საქართველოს გენერალურ კონსულთან ალექსანდრე ჯიშკარიანთან ერთად, აჯიბადემის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, პროფესორ აჰმეთ შაჰინსა და აკადემიური სფეროს სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე თსუ-სა და აჯიბადემის უნივერსიტეტს შორის მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს, კერძოდ, ისაუბრეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სხვადასხვა ხანგრძლივობით სტაჟირების ორგანიზების საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით თანამშრომლობის მემორანდუმი ახლო მომავალში გაფორმდება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების თურქულ საუნივერსიტეტო კლინიკებში სტაჟირების შესაძლებლობებზე. გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე დაიგეგმა თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლების თურქულ უნივერსიტეტში ვიზიტი.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელზეც უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაზე, მის გაძლიერებაზე, ამ კუთხით არსებულ საჭიროებებზე ისაუბრა.

რექტორმა და ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა ასევე განიხილეს ახალგაზრდა მეცნიერების, პოსტ-დოქტორანტების საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხი.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საერთაშორისო ბაზებში სამეცნიერო სტატიების განთავსების ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების კონკურსში კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლების ჩართვაზე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თსუ-ს გამომცემლობის ახალ ხელმძღვანელთან შეხვედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და თსუ-ს რექტორის მოადგილემ კახაბერ ჭეიშვილმა თსუ-ს გამომცემლობის ახალ ხელმძღვანელთან კახაბერ რუსიძესთან გაცნობითი შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე იმსჯელეს გამომცემლობის რეფორმასა და რეორგანიზაციაზე. დაისახა ახალი სტრატეგია, რომლის შედეგადაც თსუ-ს გამომცემლობა ითანამშრომლებს სხვადასხვა გამომცემლობასა და წიგნის მაღაზიებთან.

ჩვენი გამომცემლობის წიგნები, გარდა თსუ წიგნის მაღაზიისა, გამავრცელებლების მიერ გაიყიდება. გამოცემები ჟანრობრივად გამრავალფეროვნდება, სახელმძღვანელოების გარდა გამოიცემა, ანთოლოგიები, მსოფლიო მხატვრული ლიტერატურისა და ქართული მხატვრული ლიტერატურის სერიები, ასევე, განახლდება ძველი პოპულარული გამოცემები.

ბეჭდური ვერსიის გარდა, ყველა წიგნის ელექტრონული ბაზა შეიქმნება, რომლის გამოყენებაც სიმბოლურ ფასად შეეძლება დაინტერესებულ მკითხველს.

გამომცემლობა სამომავლოდ გეგმავს სტუდენტების დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, წიგნების შიდა გავრცელების კუთხით. ასევე, იგეგმება გამომცემლობის ლოგოს განახლება.

შეხვედრაზე ისაუბრეს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე, რომელზე მუშაობასაც უახლოეს პერიოდში დაიწყებს გამომცემლობა. ეს პროექტებია: „უნივერსიტეტი სკოლას“, რომელიც გულისხმობს სკოლებში ჩვენი გამომცემლობის წიგნების შეტანას და, ასევე, ძველი პოპულარული გამოცემების განახლებული ვერსიების გამოცემას.

თსუ-ში კვების ობიექტები იხსნება

თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მეათე (მაღლივი) კორპუსში კვების ობიექტი ამოქმედდა.

უახლოეს პერიოდში კვების ობიექტი თსუ-ს პირველ კორპუსთანაც გაიხსნება.

სივრცე, სადაც კვების ობიექტის გახსნა იგეგმება, თსუ რექტორმა ჯაბა სამუშიამ, კანცლერმა ლაშა საღინაძემ, რექტორის მოადგილემ კახა ჭეიშვილმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა დაათვალიერეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს სივრცის პროექტირებაზე მუშაობა. მომავალი კვირიდან გამოცხადდება ტენდერები ტექნიკის, ავეჯისა და საჭირო ინვენტარის შესაძენად; ჩატარდება კოსმეტიკური რემონტი და მოეწყობა კაფეს როგორც შიდა, ასევე გარე სივრცე. ამასთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხარისხიანი, მრავალფეროვანი საკვები შეღავათიან ფასში.

მეორე ვადით არჩეული კანცლერის ხედვა და გეგმები

ნინო ჯაჯულია

2024 წელს უნივერსიტეტმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე კვლავ ლაშა საღინაძე აირჩია. ლაშა საღინაძე 2020 წლიდან არის კანცლერი. როგორც თავად ამბობს, პანდემიის პერიოდმა არაერთი გეგმის განხორციელება შეაფერხა, თუმცა მისი პირველი ვადით არჩევის შემდეგ უნივერსიტეტში მაინც ბევრი რამ გაკეთდა.

„ცუდმა პერიოდმა მოგვიწია, რადგან 2020 წლის თებერვლიდან, პანდემიის გამო, უნივერსიტეტი რეალურად დისტანციურ რეჟიმზე იყო გადართული. ასეთ პირობებში ძალიან რთული იყო რაიმე მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ გაკეთდა: უნივერსიტეტის ბიუჯეტი 30 მილიონი ლარით გაიზარდა, სტუდენტების რაოდენობა 3 500-ით გაიზარდა, გარკვეულწილად, ადმინისტრაციული (დამხმარე) პერსონალის ოპტიმიზაცია განხორციელდა. ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება, რათა მაქსიმალურად ოპტიმიზირებული სტრუქტურა გვქონდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია დეკრეტული შვებულების ანაზღაურების დანერგვა. ეს პროცესი 2020 წლიდან დავიწყეთ და ამ პერიოდში (2024 წლამდე) 300 000 ლარზე მეტი დეკრეტული შვებულების ანაზღაურების გაცემა განხორციელდა. ყველა კორპუსში მოვაწყვეთ სტუდენტური სივრცეები, რომელიც 2020 წლამდე არცერთ კორპუსში არ იყო. დაფუძნდა პროფესიული განათლების ცენტრი, რომლის ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდა. გაკეთდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის გარე ფასადი, კიბეები, განხორციელდა ბიბლიოთეკის შიდა სივრცეების სარემონტო სამუშაოები. ასევე, განხორციელდა საგამოცდო ცენტრის სივრცეების რეაბილიტაცია. ამ და სხვა ინფრასტრუქტურულმა პროცესებმა გარემო გააჯანსაღა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რა თქმა უნდა, მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და მეათე კორპუსის (მაღლივის) 5 სართულის რემონტი“, – აცხადებს ლაშა საღინაძე.

სიახლეები

მომავალში უნივერსიტეტში ბევრი სიახლე იგეგმება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების წესი 2010 წლიდან არ შეცვლილა და ინფლაციის პირობებში ზოგადი ხარჯვითი ნაწილი რამდენჯერმეა გაზრდილი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ფინანსებს მაქსიმალურად მოუყარა თავი და უკვე თებერვლიდან აკადემიურ პერსონალს ანაზღაურება გაეზარდა.

„ჩვენ გვყავს ფაკულტეტები, სადაც შედარებით დიდია ანაზღაურება, გვყავს ფაკულტეტები, სადაც ანაზღაურება შედარებით მცირეა, ამიტომ გვაქვს აღებული გეზი, რომ ფაკულტეტებზე ანაზღაურება თითქმის იდენტური იყოს. ამ მხრივ ბოლო ადგილზეა მედიცინის ფაკულტეტი, იმის მიუხედავად, რომ წელს მათთან 25% იყო შრომის ანაზღაურების ზრდა, მათ მაინც ყველაზე დაბალი ანაზღაურება აქვთ. ის ტენდენცია, რომ სხვა ფაკულტეტები შრომის ანაზღაურების კუთხით, ასე ვთქვათ, დაეწიონ მაღალანაზღაურებად ფაკულტეტებს, მომავალ წლებშიც გაგრძელდება, რათა ყველას ანაზღაურება ერთმანეთთან დაახლოვდეს.

უმეტეს ნაწილში, ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს 1 მარტიდან გაეზრდება ხელფასი საშუალოდ 10-12 %-ით – მენეჯერულ რგოლებს შედარებით დაბალი პროცენტით (5-8 %), სპეციალისტებს შედარებით მაღალი, (9-18 %)-ით“, – აღნიშნავს ლაშა საღინაძე.

მომავლის გეგმები

„როგორც იცით, პირველ და მეორე კორპუსების უკან, საწყობის ტერიტორიაზე გვსურს ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული დანიშნულების კორპუსის აშენება. კონკურსი, რომელიც გვქონდა გამოცხადებული, ჩავშალეთ იმის გამო, რომ პროექტებთან დაკავშირებით იყო გარკვეული შენიშვნები, ამასთან ყველა პროექტს ჰქონდა გაუმჯობესების საშუალება. ამიტომ, მაქსიმალურად კარგი შედეგის მისაღებად ჩვენ ახლიდან გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელიც, ალბათ, აპრილის ბოლომდე დასრულდება. სავარაუდოდ, მაისში უკვე გვეყოლება გამარჯვებული, რომელთანაც გავაფორმებთ ხელშეკრულებას და ის დაიწყებს საპროექტო სამუშაოებს. ამით ძალიან ბევრი პრობლემა გადაიჭრება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ პირველი კორპუსი მთლიანად დაიცლება ადმინისტრაციული პერსონალისგან და ისინი გადაინაცვლებენ ახალ კორპუსში (შედარებით მოკრძალებულ სივრცეებში). პირველი კორპუსი სრულად დაეთმობა სტუდენტებს და ეს ისტორიული ძეგლი თავისი დანიშნულებით იქნება გამოყენებული.

ასევე, ახალი შენობის აშენებას ვგეგმავთ მაღლივი (მე-10) კორპუსის ტერიტორიაზე ეკონომიკის ინსტიტუტისა და პროფესიული განათლების ცენტრისთვის. გაზაფხულისთვის საპროექტო სამუშაოები დასრულდება და შემდეგ გამოცხადდება ტენდერი შენობის მშენებლობის მიზნით. მნიშვნელოვანია ის, რომ ამავე შენობაში მოეწყობა საცურაო აუზი, რომელიც მაღლივი (მე-10) კორპუსის ტერიტორიაზე მდებარე სპორტულ ბლოკს მიუერთდება.

მორფოლოგიის ინსტიტუტის და მედიცინის ფაკულტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დასასრულს უახლოვდება და ახალი სასწავლო წლისათვის ეს ინფრასტრუქტურაც განახლებული იქნება.

უნივერსიტეტის გარე ტერიტორიებზე სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა იგეგმება. ამჟამად მესამე და მეხუთე კორპუსების ეზოების კეთილმოწყობაა გათვალისწინებული. ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან და სამუშაოები უახლოს დღეებში დაიწყება.

რაც შეეხება სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის პროცესს, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ფლიგელის გამაგრების და რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები დასრულდა. ჩვენ უკვე გვყავს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია და ველოდებით ნებართვებს. ყველა ნებართვის მიღების შემდგომ დავიწყებთ სამუშაოებს.

> **ის ტენდენცია, რომ სხვა ფაკულტეტები შრომის ანაზღაურების კუთხით, ასე ვთქვათ, დაეწიონ მაღალანაზღაურებად ფაკულტეტებს, მომავალ წლებშიც გაგრძელდება, რათა ყველას ანაზღაურება ერთმანეთთან დაახლოვდეს. უმეტეს ნაწილში, ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს 1 მარტიდან გაეზრდება ხელფასი საშუალოდ 10-12 %-ით – მენეჯერულ რგოლებს შედარებით დაბალი პროცენტით (5-8 %), სპეციალისტებს შედარებით მაღალი, (9-18 %)-ით“**

მნიშვნელოვანია ის, რომ ავტოპარკის განახლების პროცესი მიმდინარეობს. შარშან, როგორც იცით, სამორიგეო დანიშნულების ავტომობილის შესყიდვა განხორციელდა, ასევე შევისყიდეთ მიკროავტობუსი. მიმდინარე წელს სატენდერო პროცესი სრულდება და ვყიდულობთ ახალ ავტობუსს“, – აღნიშნავს ლაშა საღინაძე.

საპენსიო ასაკს მიღწეული პერსონალის დაფასების პროგრამა ამოქმედდება

„გაზაფხულიდან განხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს საპენსიო ასაკს მიღწეული პერსონალის დაფასების პროგრამას. ამ პროგრამის ფარგლებში, პირს, რომელიც არის საპენსიო ასაკს მიღწეული (ვგულისხმობ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალს), შეეძლება ისარგებლოს ამ პროგრამით და მიიღოს უნივერსიტეტისგან ჯილდო 5-7 თვემდე ხელფასის ოდენობით (სტაჟის მიხედვით ანაზღაურება სხვადასხვაა). ამით ჩვენ მათ მადლობას გადავუხდით გაწეული მუშაობისათვის და, ღირსეული დაფასების ფარგლებში, ერთიანად მივცემთ 5-7 თვის ანაზღაურებას. ეს, ერთი მხრივ, პერსონალის გაახალგაზრდავებას და ადმინისტრაციის ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს და, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენ ღირსეულ დაფასებას და გაცილებას მოვუწყობთ იმ ადამიანებს, რომლებმაც მრავალი წელი დაუთმეს უნივერსიტეტის განვითარებას“.

ახალი ინიციატივები

„გვინდა „ალუმნის“ ამოქმედება. ჩვენ 300 000-ზე მეტი კურსდამთავრებული გვყავს. მართალია, 2018 წელს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება დაფუძნდა, მაგრამ მისი განვითარების მხრივ გარკვეული პრობლემები შეიქმნა. ახლა ამ მიმართულების შეცვლას და ახალი კონცეფციის დაწერას ვცდილობთ. გვინდა, რომ ეს რესურსი აუცილებლად გამოვიყენოთ და გავაჩინოთ ფონდი, რომელიც უნივერსიტეტის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მიმდინარე წელს სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობის პროგრამა დაინერგა, რომლისთვისაც 350 000 ლარია გამოყოფილი. უახლოეს დროში დამტკიცდება ამ პროგრამის მუშაობის წესი და ყველა მსურველს შეეძლება პროგრამით ისარგებლოს.

გაიზარდა სტუდენტური პროექტების დაფინანსება, რამაც 2024 წლისათვის მილიონ ლარს მიაღწია. ვიმედოვნებთ, რომ სტუდენტების ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება. სტუდენტური ცხოვრების მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით ლიდერები ვართ და, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს... ამ ინიციატივაში ჩვენი სპორტული გუნდების გამარჯვებაც ხელს გვიწყობს. ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მათთვის მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება შეგვიძლია – ეს იქნება როგორც ცეკვის თუ სიმღერის ანსამბლი, ისე სპორტული სახეობები და სხვა“, – აცხადებს ლაშა საღინაძე.

ანონსი

1924 წლის აჯანყების 100 წლისთავთან დაკავშირებით თსუ-ში რამდენიმე ღონისძიება გაიმართება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საორგანიზაციო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და თსუ-ს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები არიან ჩართულნი.

ჯგუფის წევრები თსუ-ს რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას შეხვდნენ და განსახორციელებელ გეგმებსა და მოსამზადებელ სამუშაოებზე ისაუბრეს. თსუ-ს რექტორის ინიციატივით, აგვისტოს აჯანყების 100-წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, უკვე ცნობილ მეცნიერებთან ერთად, ახალგაზრდა მკვლევრები და სტუდენტებიც ჩაერთვებიან.

უნივერსიტეტში იგეგმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „ეროვნულ განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა აღმოსავლეთ ევროპაში“, რომელიც ოქტომბერში გაიმართება და მასში ქართველებთან ერთად უცხოელი მკვლევრებიც ჩაერთვებიან. ასევე ჩატარდება სტუდენტური ესეების კონკურსი აჯანყების თემაზე.

ვლადიმერ პაპავას მორიგი აღიარება

თამარ დადიანი

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** მაკროეკონომიკასა და გამოყენებით ეკონომიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის (International CORE Academy of Sciences and Humanities) ნამდვილ წევრად აირჩიეს.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა 1990 წლიდან ეკონომიკური თეორიის მიღწევების საზოგადოების (აშშ) წევრია და, მოყოლებული ამ დღიდან, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო აკადემიების, საზოგადოებებისა და ასოციაციების წევრია: დანახარჯები-გამოშვების საერთაშორისო ასოციაცია (ავსტრია, 1992), ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემია (გაერო, 1994), დასავლეთის საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 1996), მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია (აშშ, 1997), სამეფო ეკონომიკური საზოგადოება (დიდი ბრიტანეთი, 1997), საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოება (აშშ, 1998), ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტი (აშშ, 2006), ამერიკის ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 2006), ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი საზოგადოება (აშშ, 2006), შედარებითი ეკონომიკური კვლევების ევროპული ასოციაცია (იტალია, 2006), ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაცია (აშშ, 2006), პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ამერიკის აკადემია (აშშ, 2006) და სხვა...

დღეს ამ შთამბეჭდავ ნუსხას საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის ნამდვილი წევრობაც შეემატა.

საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემია დაფუძნებულია ჰონგ-კონგის მთავრობის მიერ და მისი წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა არჩეული. აკადემია ინტერდისციპლინური, არასამთავრობო, არაკომერციული, სამეცნიერო ორგანიზაციაა და მისი წევრები მეცნიერებაში მოპოვებული დამსახურებებისთვის არიან არჩეულნი. აკადემიის მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნის ყველა სფეროში საერთაშორისო, მოწინავე და ინტერდისციპლინურ კვლევებს. აკადემია მოწოდებულია აღიაროს გამოჩენილი სამეცნიერო მიღწევები და ხელი შეუწყოს გლობალურ აკადემიურ თანამშრომლობას და ცოდნის გავრცელებას კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სიტყვა „CORE“ შექმნილია ორი ჩინური სიტყვიდან. კერძოდ, სიტყვის პირველი მარცვალი ჩინურად „მეცნიერებას“ ნიშნავს, მეორე კი – „სიბრძნეს“.

> **აქვე შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ პაპავა მეორე ქართველია, რომელიც საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წევრი გახდა. უფრო ადრე აკადემიის წევრად ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე აირჩიეს.**

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წევრობის კანდიდატის ნომინირების უფლება მხოლოდ ამ აკადემიის წევრებს გააჩნიათ, ხოლო ნომინირებული კანდიდატის სამეცნიერო შედეგები გადის ფარულ რეცენზირებას CORE აკადემიის სხვა ორი წევრის მიერ. მხოლოდ ფარული რეცენზირების პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ ხდება აკადემიის ახალი წევრის არჩევა. აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას არჩევის საკითხიც, რა თქმა უნდა, ამ წესით მოხდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებით, რომლის შესახებაც თავად კანდიდატი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა გვიამბობს:

„დღეს საერთაშორსიო აღიარება, გარკვეულწილად, ბიზნესად იქცა. არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციები, სამეცნიერო აკადემიები, რომელიც აღიარებისთვის, წოდების მინიჭებისთვის გარკვეულ ფინანსურ სარგებელს ითხოვენ. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებშიც ხდება მსგავსი რამ, როცა ზოგიერთ პრესტიჟულ ჟურნალში მათ მიერვე მოწონებული სტატიის გამოქვეყნებისთვის საკმაოდ მაღალი საფასურია გადასახდელი. იმავდროულად, არსებობს ისეთი ავტორიტეტული ჟურნალებიც, რომელშიც ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა, მაგრამ იქ სტატიის გამოქვეყნება კიდევ უფრო ძნელია.

რაც შეხება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიას, იგი დაფუძნებულია ჰონგ-კონგის მთავრობის მიერ. ამ აკადემიის წევრად არჩევის წესი არის ძალიან საინტერესო, რომელიც არც თანხის და არც საკუთარი განაცხადის საფუძველზე არ ხდება. მხოლოდ აკადემიის რომელიმე წევრს, რომელსაც იგივე პროფილი აქვს, როგორც წევრობის კანდიდატს, შეუძლია ფარული განაცხადის საფუძველზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ან ნამდვილ წევრად დაგასახელოს.

იანვრის ბოლოს წერილით მაცნობეს, რომ ნომინირებული ვიყავი აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, მაგრამ ვინ დამასახელა – არ ვიცი, რადგანაც ამის გამჟღავნება არ ხდება. ჩემი თანხმობის შემდეგ ინფორმაცია ჩემი კვლევის შედეგების შესახებ გადაეცა ფარულ რეცენზენტებს, დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ამ აკადემიის წევრები არიან. ამ პროცედურის გავლის შემდეგ დგება არჩევის საკითხი. ფარულმა რეცენზენტებმა, შეფასების მიხედვით, ჩემი წევრ-კორესპონდენტად არჩევის კი არა, აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის გადაწყვეტილება მიიღეს. ყველა აქ ჩამოთვლილი პროცედურა არის ფარული და ეს არის სწორედ იმ ადამიანების დაცვის გარანტი, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს გადაწყვეტილება უარყოფითია.

დღეისათვის აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის სერტიფიკატის მხოლოდ ელექტრონული ვერსია მაქვს. ოფიციალურად, მისი გადმოცემის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი – მიმიწვიონ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიაში და იქ მოხდეს მისი გადმოცემა და მეორე – ისინი ჩამოვიდნენ აქ, საქართველოში. ჩემი სურვილია, რა თქმა უნდა, აქ ჩამობრძანდნენ, რადგან ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის დაწყებას“, – განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ვისთვისაც საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის ნამდვილი წევრობა საპატიო და მნიშვნელოვანია.

„რა თქმა უნდა, ეს წოდება ჩემთვის საპატიოა, ეს არის ჩემი ნაშრომების გარკვეული აღიარება, რომელიც სტიმულს მაძლევს კიდევ უფრო მეტი აქტიურობისთვის. ჩემი მიზანი ის კი არ არის, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებმა მაღიარონ, არამედ ის, რომ რასაც ვწერ, საინტერესო იყოს მკითხველისთვის. ჩემი ნაშრომების ციტირება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე ორგანიზაციის წევრობა“, – აღნიშნავს აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ვისთვისაც მეცნიერება ცხოვრების წესია.

„ყველა მეცნიერის სურვილია მისი შრომა სხვამ წაიკითხოს და თუ ის სხვა მას აღიარებს, ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. აღიარების ყველაზე უშუალო გზა – საკუთარი ნაშრომის ციტირებაა სხვა მეცნიერულ ნაშრომებში. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართველმა მეცნიერებმა შეძლონ თავიანთი კვლევების შედეგების გატანა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში. თუ ინგლისურ ენაზე აქვეყნებ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მკითხველთა აუდიტორია უფრო ფართოა და უფრო მეტი შანსია – შენი ნაშრომის ციტირება მოხდეს. სწორედ დაგროვილი ნაშრომების, უფრო ზუსტად კი, ამ ნაშრომებში ასახული კვლევის შედეგების მიხედვით ხდება მეცნიერის საერთაშორისო აღიარება. არის კიდევ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლის წევრობაც ასევე საპატიოა. რა თქმა უნდა, ქართველმა მეცნიერებმა უნდა ვიფიქროთ თანამემამულეებზე, რომ მათაც შეძლონ მშობლიურ ენაზე შენი ნაშრომების წაკითხვა. ასე რომ, სამუშაო ფორმატი ფართოა...“ – აცხადებს აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ პაპავა მეორე ქართველია, რომელიც საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო CORE აკადემიის წევრი გახდა. უფრო ადრე აკადემიის წევრად ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე აირჩიეს.

ომის განხილვა ისტორიის გაკვეთილებზე

„კოლექტიური მეხსიერების ფორმირება 21-ე საუკუნის საქართველოში: რუსეთ – საქართველოს ომის რეპრეზენტაცია სასკოლო სახელმძღვანელოებში“, – ამ საინტერესო მოხსენებით წარდგა კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი ლაიფციგის უნივერსიტეტის მოლდოვას ინსტიტუტის ორგანიზებულ ზამთრის სკოლის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში. პროექტის სახელწოდება იყო – „ომის განხილვა ისტორიის გაკვეთილებზე“. აღსანიშნავია, რომ სკოლა მუშაობდა ლაიფციგში, ბერლინსა და ბრაუნშვაიგში და მას სხვადასხვა ქვეყნის სკოლის პედაგოგები და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„პროექტის ფარგლებში ზამთრის სკოლის წარმომადგენლებმა მრავალი საინტერესო იდეა განვიხილეთ, კერძოდ, თუ როგორ და რა ფორმით უნდა ისწავლებოდეს ისტორია, უფრო კონკრეტულად კი, ომი სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის აქტუალობა და თემის წინ წამოწევა რამდენადმე განსაზღვრა ბოლო დროს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. ამასთან, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ამავე საფრთხის წინაშეა მოლდოვა, საქართველო კი რუსეთის ოკუპაციის მსხვერპლი 2008 წელს გახდა. სკოლის მუშაობაში ამ ქვეყნების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი, ყველამ თავისი ქვეყნის მდგომარეობაზე ისაუბრა. მე, რასაკვირველია, საქართველოს სახელით ქართულ რეალობაზე გავამახვილე ყურადღება. ჩემი მოხსენება ეხებოდა, თუ როგორ ისწავლება დღეს 2008 წლის საქართველო – რუსეთის ომი საქართველოში სახელმძღვანელოების მიხედვით. საკმაოდ საინტერესო იყო კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ მთელი რიგი მოვლენები არ არის ისე გაანალიზებული, როგორც ამას ობიექტურობა მოითხოვს. მაგალითად, ბოლომდე გაცნობიერებული არ გვაქვს, როგორ უნდა ვასწავლოთ ეს მოვლენა სკოლებში, რაზე უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტები, შეიძლება თუ არა მოსწავლეებთან ღიად საუბარი იმაზე, რომ რუსეთი მტერია, როგორ უნდა აისახოს ეს სახელმძღვანელოებში და სხვა. ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხებსაც ეს სახელმძღვანელოები ძირითადად არ იძლევა.

მოხსენების შემდეგ დისკუსია გაიმართა, ამ კუთხით საკმაოდ კარგი გამოცდილება მივიღეთ, მაგალითად, უკრაინელებისთვის ჩემი მოხსენება საინტერესო იყო გამოცდილების მიღების თვალსაზრისითაც, რადგან ჩვენ ეს ისტორია უკვე გავლილი გვაქვს.

ზაფხულის სკოლის ორგანიზატორებთან დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს, ამიტომ სამომავლოდ მსგავსი

პროექტი თუ ისევ განხორციელდება, კვლავ აქტიურად ჩავერთვებით“, – აღნიშნა ივანე წერეთელმა.

გამოიცა ანზორ ხელაშვილის მონოგრაფია

მაია ტორაძე

ცოტა ხნის წინ გამომცემლობა „ნეკერმა“ გამოსცა ცნობილი ქართველი ფიზიკოსის, აკადემიკოს ანზორ ხელაშვილის მონოგრაფია „სიმეტრიები და ჯგუფთა თეორიის ელემენტები ნაწილაკთა ფიზიკაში“, სტანდარტული მოდელის შესავალი“.

მონოგრაფიაში ავტორის მიერ გამოყენებულია საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა: სახელმძღვანელოები, მიმოხილვები, ორიგინალური სტატიები. წიგნში მოცემული მასალა იკითხებოდა თსუ-ს მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიისა და ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებისთვის 1973 წლიდან, როდესაც გაჩნდა პირველი მინიშნებები ყალიბრული თეორიის გზის სისწორის შესახებ.

აკადემიკოსი ანზორ ხელაშვილი კითხულობდა ლექციებს თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის თეორიული ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებისათვისაც. ამიტომაა, რომ წიგნში განხილული მასალა მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს და თანაბრად გამოსადეგია ნაწილაკთა ფიზიკაში, სიმეტრიების განვითარების თვალის გასადევნებლად, ისტორიულ ასპექტში. წიგნში მოცემულია მხოლოდ ძირითადი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. გარდა ლექციებისა, მონოგრაფია სამსახურს გაუწევს ამ სპეციალობის დოქტორანტებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს.

„სიმეტრიები და ჯგუფთა თეორიის ელემენტები ნაწილაკთა ფიზიკაში, სტანდარტული მოდელის შესავალი“ არის პირველი



ცდა ქართულ ენაზე ნაწილაკთა ფიზიკის სახელმძღვანელოს შექმნისა. „ჯგუფთა თეორიის მეთოდები დღეს ფართოდ გამოიყენება ფიზიკის თითქმის ყველა სფეროში და საგულისხმოა, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს სახელმძღვანელო არა მარტო ნაწილაკების ფიზიკის საჭიროების, არამედ, საერთოდ, საგნის დაუფლებისათვის. წინამდებარე წიგნი ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ ნაკლს, ცხადია, ფიზიკოსის თვალსაზრისით. მისი გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, სალექციოდ კვანტური ველების თეორიულ ფიზიკაშიც“, – აღნიშნა აკადემიკოსმა ანზორ ხელაშვილმა.

საერთაშორისო კონფერენცია „მიგრაცია, ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა“ თსუ-ში

მაია ტორაძე

თსუ-ში გაიმართა საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „მიგრაცია, ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა“.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან.

ღონისძიება ორგანიზებული იყო თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – „ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა XX საუკუნის საქართველოს შიდა მიგრაციების კონტექსტში“ [FR-21-336] – ფარგლებში.

მიგრაციების საკითხების ინტერდისციპლინური შესწავლა „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ სამეცნიერო ჯგუფის დიდხნიანი ინტერესია. თითქმის ოც წელზე მეტია, ჯგუფი სხვადასხვა კუთხით იკვლევდა და სწავლობდა საქართველოს მიგრაციულ პროფილს, ხოლო კონფერენცია – „მიგრაცია, ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა“ – ამ სამეცნიერო პროცესს ერთდროულად აჯამებს და თან ახალი კვლევის პერსპექტივებს წარმოაჩენს.

კონფერენციის მთავარი კონცეფცია მისი ინტერდისციპლინურობაა. ლინგვისტიკის, ლიტერატურის, ეთნოლოგიის, ბიომრავალფეროვნების, ანთროპოლოგიისა და სხვა დარგების გადაკვეთა ერთიან, მასშტაბურ, სანდო სურათს ქმნის. ხოლო ამ პროცესის მონაწილე სხვადასხვა თაობის მეცნიერთა თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

სხვა მოხსენებებთან ერთად, „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარინე ბერიძემ კონფერენციის მონაწილეებს მიგრაციების ახალი ელექტრონული ბაზა წარუდგინა, სადაც ვიზუალური მონაცემებით აისახება ბოლო ორი საუკუნის ქართული შიდამიგრაციების მრავალფეროვანი სურათი.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს: პროტოქართველური ენის წარმოშობისა და გავრცელების ადგილის, სიტყვებისა და ცნებების მიგრაციის, ქართველი ერის ეთნოგენეზის, საქართველოს ლინგვისტური და დიალექტური მრავალფეროვნების, გერმანული თუ იდიშური დიასპორების, ქართველური ენების თანამედროვე მდგომარეობის, მიგრაციის უახლესი ამბების, საბჭოთა წარსულის სირთულეების, საქართველოსა და აქ გავრცელებული ენებისა და დიალექტების წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ.

კონფერენციის მხარდამჭერები არიან: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი – LOEWE – უმცირესობათა კვლევები.



ახალი კვლევა ჯავახეთის შესახებ

შურთხია ბეროშვილი

„საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები – ჯავახეთი“, – ამ სახელწოდებით მომზადდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ბაზაზე ახალი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელიც ასახავს ჯავახეთის, როგორც სასაზღვრო ზონის, სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და მათზე საზღვრის, როგორც ფიზიკური რეალიის, საზღვრისადმი დამოკიდებულებისა და საზღვრის ფუნქციონირების გავლენის შესწავლას და უკვე არსებული მდიდარი სამეცნიერო ბაზის გამოყენებასა და მის შედარებას ამჟამინდელ ვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომი ეფუძნება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას 2022 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში (ჯავახეთსა და სამცხეში – ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები – და, ასევე, თურქეთის რესპუბლიკაში – არტაანის რეგიონი). კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები – ჯავახეთი“ ხელმძღვანელი გახლდათ თსუ-ს პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი. მასში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, ეთნოლოგიის დოქტორი მირიან ხოსიტაშვილი და ასისტენტი ბორის კომახიძე. თურქეთის მხარეს ლოჯისტიკას წარმართავდა გიორგი ირემაძე.

ქეთევან ხუციშვილის ინფორმაციით, მონოგრაფიული გამოკვლევა მოიცავს რეგიონის ზოგად დახასიათებას; საისტორიო წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, აგრეთვე, დასახლების ტიპის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამეურნეო კულტურის, მეურნეობის დამხმარე დარგების, საოჯახო ყოფის, ქორწინებისა და დაკრძალვის ტრადიციების, სოლიდარობის ფორმების, რელიგიური ვითარების, ეთნიკური მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციული გამოცდილების, პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეების, ტრადიციული კულტურისა და თანამედროვე ვითარების ურთიერთმიმართებისა და სასაზღვრო კომუნიკაციის აღწერა-ანალიზს.

„მოგეხსენებათ, რომ ჯავახეთი, რომელიც ახლანდელი ასპინძის (ნაწილს), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს მოიცავს, სასაზღვრო რეგიონია თავისი სპეციფიკური ეთნო-სოციალური მახასიათებლებით. კვლევამ ცხადყო, რომ ჯავახეთში ქართული კულტურის ელემენტების სიმყარე შენარჩუნებულია, ამასთან, ტრადიციული კულტურის ელემენტთა ნაწილი შეცვლილია, თუმცა დღემდეა შემორჩენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონში ყველაზე თვალსაჩინოდ ცვლილებები მატერიალურმა კულტურამ განიცადა, შენარჩუნებულია მეურნეობ-



ის ძირითადი ტრადიციული დარგები, შეინიშნება ტრადიციულ ტერასათა აღდგენის მაგალითებიც. სრულადაა შენარჩუნებული ტრადიციული სამზარეულო. სახეცვლილია სამეურნეო იარაღები და ძირითადად ახალი ტექნოლოგიებითაა ჩანაცვლებული. შიდა ინტერეთნიკური ურთიერთობები ემყარება განსახლების მახასიათებლებს (სიმჭიდროვე, მანძილი, დისპერსიულობა) და ძირითადად კეთილმეზობლურ დამოკიდებულებებზეა აგებული. განსაკუთრებულ როლს ასრულებს რელიგიური შემწყნარებლობა და რეგიონში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა ურთიერთდამოკიდებულება.

მნიშვნელოვანია, ასევე, სახელმწიფოს როლი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ენის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების შედეგად სახელმწიფო ენის პოზიციების გაძლიერებაში. განსაკუთრებული დატვირთვა საზღვარს ეკონომიკური თვალსაზრისით გააჩნია, საერთაშორისო გადაზიდვებზე ორიენტირებული ეკონომიკური ურთიერთობები სასაზღვრო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჯავახეთში მოქმედი სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული სტრატეგიები აწესრიგებს ფართომასშტაბიან სახელწიფოთაშორის და საერთაშორისო ურთიერთობებს. ამ პროცესების პარალელურად ადგილობრივი მოსახლეობაც ჩართულია შედარებით მცირემასშტაბიან ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ ინტერაქციის სიხშირეს განაპირობებს დასახლებული პუნქტების სიახლოვე საზღვართან, ასევე, ინტენსიური მოძრაობა და არანაკლებ – ისტორიული მეხსიერებაც, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეებს გააჩნიათ. ქართველ და თურქ ადგილობრივთა შორის კომუნიკაციას ენობრივი ბარიერის გარდა მნიშვნელოვანი წინაღობა არ აქვს. განსხვავებულია სომეხთა და თურქთა ურთიერთდამოკიდებულება“, – ამბობს ქეთევან ხუციშვილი.

მისივე თქმით, ჯავახეთის მაგალითი ადასტურებს, რომ სასაზღვრო ზონებში ურთიერთობების ფორმასა და ხარისხს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ საზღვრის აღქმა, საკუთარი და მეზობლების იდენტობის განსაზღვრა, ისტორიული მეხსიერება და ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებს.

ქუჩა, რომელსაც „არავიძეების“ ნაცვლად ტაძრისკენ მივყავართ

თბილისში ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა გაიხსნა

მაია ტორაძე

23 თებერვალს თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში, ისნის რაიონში ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩის გახსნის საკითხის ინიცირება საკრებულოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის მკვლევარს, გოჩა ფერაძეს ეკუთვნის. ინიციატივას მხარი დაუჭირა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

კიდევ რა სამუშოებია ჩასატარებელი ვარლამ ჩერქეზიშვილის საქმის უკვდავსაყოფად და რა გეგმები აქვს მისი მოღვაწეობის მკვლევარს, თსუ-ს ასოცირებულ პროფესორს, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს გოჩა ფერაძეს, მისი საუბრიდან შეიტყობთ:

– თქვენი ძალისხმევა ვარლამ ჩერქეზიშვილის საქმის უკვდავყოფისათვის ცნობილია. დღიდან ამ მოძრაობის დაწყებისა, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტიც“ ავრცელებს ინფორმაციას მისი მოღვაწეობის პოპულარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ამჯერად კიდევ ერთი მიზანი შესრულდა – თბილისში გაიხსნა ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა. კიდევ რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ?

– ეროვნული სულისკვეთების მემკვიდრეობითობის, შთამომავლობის მხრიდან მადლიერების კონკრეტულ გამოვლინებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ 2019 წლიდან სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიღო საკუთარ თავზე ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და

შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლასა და წარმოჩენაზე ზრუნვა. პირველ რიგში, სწორედ საუნივერსიტეტო გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტისა“ და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით, დაინტერესებული მკითხველისთვის გახდა ცნობილი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი ეწოდა: სკოლას მის მშობლიურ სოფელ თოხლიაურში, ქუჩას ქ. საგარეჯოში, საქართველოს ფოსტამ 20 000 ტირაჟით გამოსცა საფოსტო მარკა ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავთან დაკავშირებით. პანდემიის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ჩატარდა ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი ორი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, გამოცემულია კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებების კრებული და სხვა. სულ ცოტა ხნის წინ კი, ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ ჯაბა სამუშიას წერილობითი მიმართვის საფუძველზე და ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ტყემალაძის მხარდაჭერით, ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა საზეიმოდ გაიხსნა უკვე ჩვენს დედაქალაქში.

ქუჩის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ ზარანდია, საკრებულოს ისნის მაჟორიტარი წევრი კახა ლაბუჩიძე, საგარეჯოს მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლექსო გილაშვილი, ქ. საგარეჯოს მერი ავთანდილ ბულიკაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი შველიძე და სხვები, ის ადამიანები, ვისი ძალისხმევის გარეშეც ეს შესანიშნავი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩის საზეიმო გახსნაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს რაიონის სოფ. თოხლიაურის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. საგანგებოდ მათთვის თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით, ორგანიზებული იქნა ექსკურსია თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში, სადაც, იმავდროულად, ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და ხანგრძლივი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა გაიმართა.

მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გამოფენაზე, სხვა ექსპონატებთან ერთად, წარმოდგენილი იყო რკინის სარკოფაგი. მასში 1925 წლის აგვისტოდან 2013 წლის სექტემბრამდე ქ.ლონდონის ერთ-ერთ უძველეს „Golders Green“-ის კრემატორიუმში ინახებოდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ფერფლი. 2013 წელს, ვარლამის ფერფლის ჩემ მიერ სპეციალურად ამ მიზნით ლონდონში ჩატანილ მარმარილოს სარკოფაგში გადასვენების შემდეგ,

კრემატორიუმის ადმინისტრაციამ ის საჩუქრად გადმომცა. რესტავრაციის შემდეგ კი, აი, უკვე რამდენიმე წელია, ვარლამ ჩერქეზიშვილის ერთგული მცველი აწ უკვე თსუ-ს მუზეუმში ელოდება დიდი მამულიშვილის სამშობლოში საბოლოო და ღირსეულ დაბრუნებას.

რაც შეეხება ქუჩას, ამ საქმეში ბევრი ჩემი თანამოაზრის მსგავსად, მეც მჯერა, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. კანონზომიერია, რომ საბჭოთა ოკუპაციიდან მთელი საუკუნის შემდეგ, 2024 წლის 22 თებერვლის ღრუბლიან, თოვლნარევ ამინდში, დამოუკიდებელი საქართველოს მრავალჭირგამოვლილ დედაქალაქში სწორედაც რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა და ამ ქუჩას არა „ვარლამ არავიძის“, არამედ ტაძრისკენ, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრისკენ მივყავართ.

ჯაბა სამუშიამ ცნობილი ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა.

დაჯილდოების ღონისძიება მშობლიური ენის საერთაშორისო დღის ფარგლებში გაიმართა. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე იუნესკომ 1999 წელს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით. „სწორედ ამ დღეს ვაჯილდოებთ პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს, ადამიანს, რომელიც 50 წელია მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდენტებს ასწავლის მშობლიურ ენას. მას მრავალი თაობა ჰყავს აღზრდილი, ის ადამიანები, რომლებიც სკოლებში, სხვადასხვა ინსტი-

ტუციებში ემსახურებიან ქართული ენის საქმეს და ქართული ენის პოპულარიზაციას. გოგი გოგოლაშვილი ყოველთვის იბრძოდა უნივერსიტეტის მხარდასაჭერად და ყოველთვის იყო უნივერსიტეტის ინტერესების სადარაჯოზე“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. „ბედნიერებაა, როცა ქართველი ქართველ კაცს ქართულს ასწავლის და ეს ბედნიერება ბედმა მეც მარგუნა. ნახევარი საუკუნეა უკვე ამ საქმეს ვეწევი. ზუსტად 50 წლის წინ შევედი პირველად ამ უნივერსიტეტის აუდიტორიაში როგორც ლექტორი. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დაფასდა ჩემი ეს მსახურება. თუმცა, ეს არა ჩემი, არამედ ქართული ენის მსახურების დაფასებაა და მადლობა უნივერსიტეტს, იმისთვის, რომ მან იცის რა არის მშობლიური ენა და რომ ამ მსახურებისთვის მადლობას უხდის იმას, ვინც მეტად თუ ნაკლებად რაღაც საქმე გასწია“, – აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა. 21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღედ იუნესკომ 1999 წელს გამოაცხადა, რაც ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას და განვითარებას ისახავდა მიზნად. 2000 წლის თებერვლიდან მშობლიური ენის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება. მშობლიური ენის საერთაშორისო დღე საქართველოში 2005 წლიდან აღინიშნება.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

სანდრო ცხვედაძე – დოქტორანტი, რომელიც ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურის ცენტრში ქართულ ხელნაწერებს შეისწავლის

8 გვ.

კვლევა, რომელიც თბილისის არეალში და მის შემოგარენში არსებული ზოგიერთი საშიში გეოლოგიური მოვლენის შესწავლას ითვალისწინებდა

9 გვ.

სამაგისტრო პროგრამის – „კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია“ – მაგისტრანტები კა'ფოსკარის უნივერსიტეტში

10 გვ.

tsu.media

თსუ გოგონათა ფრენბურთის გუნდი უნივერსიადა 2024 - ის გამარჯვებულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თსუ-ს გოგონათა ფრენბურთის გუნდის წევრებსა და მწვრთნელს შეხვდა და მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

თსუ-ს გოგონებმა ბაკურიანში გამართულ ზამთრის უნივერსიადა 2024-ის ტურნირში მონაწილე 5 უნივერსიტეტის გუნდები დაამარცხეს და პირველი ადგილი მოიპოვეს.

თსუ-ს რექტორმა თსუ-ს ფრენბურთელებს მადლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებით წარმოჩენისთვის გადაუხადა და მათ შემდგომ სპორტულ განვითარებაში მხარდაჭერა აღუთქვა. მისი თქმით, „მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს სტუდენტები, სწავლასთან ერთად, სპორტით არიან დაკავებულები და ამით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ეწევიან.“

შეხვედრაზე თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა კესანე ხმიადაშვილმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლიზიკო არუსიამ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სტუდენტმა თინათინ ყაზარაშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ლიზი დიასამიძემ, მწვრთნელმა თემურ ჭაბუკიანმა ბაკურიანში გამართულ ტურნირზე და ამ ტურნირისთვის მზადებაზე ისაუბრეს.

ზამთრის უნივერსიადა 2024-ში საქართველოში აკრედიტებული 16 უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წლევანდელ ტურნირებში გამარჯვებული სპორტსმენები და გუნდები, მათ შორის, ფრენბურთელები მონაწილეობას მიიღებენ 2025 წელს იტალიაში, ტორინოში მსოფლიოს ზამთრის უნივერსიადაში.

სანდრო ცხვედაძე – დოქტორანტი, რომელიც ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურის ცენტრში ქართულ ხელნაწერებს შეისწავლის

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი სანდრო ცხვედაძე ჰამბურგის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელ ცენტრში“ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლის და დისერტაციას ამ საკითხთან დაკავშირებით დაიცავს. განათლებით ფილოლოგმა ინტერესები რამდენიმე წლის წინ ბიზანტიური ფილოლოგიისკენ მიმართა და, სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სადოქტორო თემად მეტად მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი – „სტრუქტურულ-კომპარატიული ტიპები ბერძნულ ლექციონარებსა და ქართულ საწელიწდო სახარებებში“ – აირჩია. ინტერვიუში, რომელსაც გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ გთავაზობთ, სანდრო გვესაუბრება ჰამბურგის „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელ ცენტრამდე“ განვლილ გზასა და კვლევაზე, რომელიც სულ მალე დისერტაციის სახით მომზადდება.

– სანდრო, ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი როგორ გაგიტაცათ ბიზანტიური ფილოლოგიის პროგრამამ, რა გახდა შენი ინტერესის საგანი?

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის სპეციალობით სწავლა 2013 წელს დავიწყე და 2017 წელს მივიღე ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხი. ქართული ფილოლოგიის საკითხების შესწავლისას ჩემში განსაკუთრებული ინტერესი აღძრა შუა საუკუნეების როგორც ორიგინალურმა, ასევე თარგმნილმა ქართულმა ლიტერატურამ. ლიტერატურის შესწავლისას ყოველთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნდა პირველწყაროებზე მუშაობა, რაც მოიცავს, ერთი მხრივ, ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლას, ხოლო, მეორე მხრივ – ქართული თარგმნილი ლიტერატურის ბერძნულ წყაროებზე მუშაობასა და მათ კვლევას. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე, რომ ჩავღრმავებოდი შუა საუკუნეების ბერძნული ენისა და ლიტერატურის საკითხებს, ფუნდამენტურად შემესწავლა ბიზანტიური ხელნაწერი მემკვიდრეობა და, ზოგადად, ბიზანტიურ-ქართული და ქართულ-ბიზანტიური სამწერლობო კულტურა. შესაბამისად, სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზანტიური ფილოლოგიის პროგრამაზე, რაც 2022 წელს დავასრულე. მაგისტრატურის საფეხურზე სწავლისას პროფესორ ლევან გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით ვიმუშავე საკითხზე – „ჰილდეგარდ ბინგენელის დრამატული შემოქმედება ბიზანტიურ და შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ტრადიციასთან მიმართებით (Ordo Virtutum-ის მაგალითზე)“.

დღესდღეობით მეცნიერებაში განსაკუთრებით აქტუალურია ბიზანტიური დრამატული პოეზიის ტექსტების სტრუქტურის მაიდენტიფიცირებელი ელემენტების გამოყოფა და ზოგადი მიმართებების პოვნა თანადროულ დასავლეთევროპულ ლათინურ ტრადიციასთან, რაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის, ბიზანტინოლოგიისა და შუა საუკუნეების კვლევების მეინსტრიმს წარმოადგენს. ჰილდეგარდ ბინგენელის პერსონით საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში XX საუკუნის დასაწყისიდან ინტერესდებიან. როგორც ჩანს, მისი შემოქმედება დღემდე აქტუალურია ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ავტორის დრამასთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად არ არის შესწავლილი ევროპულ მეცნიერებაში (ტექსტის სტრუქტურა, სემიოტიკა, ლიტერატურული გავლენები, კონტექსტუალური კვლევები და სხვა, ხოლო ქართულ სამეცნიერო სივრცეში, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი კვლევა აღნიშნული ავტორის შემოქმედების შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენდა (რაც ასევე მოიცავდა თხზულების პირველად გადმოქართულებასაც ლათინური ენიდან). სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას, ბუნებრივია, მქონდა შეხება Ordo Virtutum-ის ტექსტის შემცველ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ხელნაწერთან (Hs.2), რამაც ჩემი ინტერესი ხელნაწერი მემკვიდრეობის მიმართ უფრო მეტად გააცხოველა.

> **მაგისტრატურის საფეხურის დასრულებისთანავე მოვიპოვე DAAD-ს სრული 3-წლიანი დაფინანსება სადოქტორო პროგრამისთვის, რათა სწავლა და კვლევა გამეგრძელებინა ჰამბურგის უნივერსიტეტში „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელ ცენტრში” ბერძნული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე პროფ. იოსტ გიპერტისა და პროფ. ქრისტიან ბროკმანის ხელმძღვანელობით.**

– ჰამბურგის უნივერსიტეტის „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელი ცენტრი“ მსოფლიოში მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრია. სადოქტორო პროგრამის ამ უნივერსიტეტში გავლა თავიდანვე შენი სურვილი იყო თუ საკვლევმა ინტერესებმა განაპირობა იქ მოხვედრა?

– მაგისტრატურის საფეხურის დასრულებისთანავე მოვიპოვე DAAD-ს სრული 3-წლიანი დაფინანსება სადოქტორო პროგრამისთვის, რათა სწავლა და კვლევა გამეგრძელებინა ჰამბურგის უნივერსიტეტში „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელ ცენტრში“ ბერძნული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე პროფ. იოსტ გიპერტისა და პროფ. ქრისტიან ბროკმანის ხელმძღვანელობით.

– რას შეეხება შენი სადისერტაციო თემა და რა სამუშაოებს ასრულებ ჰამბურგის უნივერსიტეტში?

– ამჟამად ჩემი სადოქტორო პროექტი – „სტრუქტურულ-კომპარატიული ტიპები ბერძნულ ლექციონარებსა და ქართულ საწელიწდო სახარებებში“ – მოიცავს ბიზანტიური, ბერძნული და ამავე პერიოდის ქართული ხელნაწერების კომპარატიულ კვლევას, ქართული ლიტურგიკის კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლასა და მის ბერძნულ წყაროებს. შესაბამისად, ამჟამად ვმუშაობ ქართული საწელიწდო სახარებების ხელნაწერებსა და ხელნაწერ ფრაგმენტებზე, რომლებიც დაცულია ათონის მთის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის საცავებში, წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში სინას მთაზე, ბრიტანეთის მუზეუმში, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში, მატენადარანში (სომხეთი, ერევანი), კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და სხვა. ბიზანტიური ტიპის საწელიწდო სახარებების ხელნაწერი კოლექცია გაცილებით მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს და, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი კორპუსია შექმნილი მიუნსტერის უნივერსიტეტში (გერმანია), Bibliotheque Nationale de France (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა), რაზეც ამ ეტაპზე ქართული ხელნაწერების პარალელურად ვმუშაობ.

დღესდღეობით ჰამბურგის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული „ხელნაწერთა კულტურის შემსწავლელი ცენტრი“ ერთ-ერთი უპირველესი ინსტიტუციაა მსოფლიოს მასშტაბით, სადაც უძველესი ხელნაწერების შესწავლა ხორციელდება – იკვლევენ პაპირუსზე შესრულებულ უძველეს ბერძნულ და კოპტურ ხელნაწერებს, სპარსულ, ეთიოპურ, სირიულ, ებრაულ წერილობით მემკვიდრეობას და ა.შ. ჩემი სადოქტორო პროექტით პირველი დოქტორანტი ვარ ცენტრში, ვინც ძველ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლის და დისერტაციას ამ საკითხთან დაკავშირებით დაიცავს.

კვლევისა და დისერტაციის მომზადების საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელის – პროფესორ იოსტ გიპერტის მასშტაბური პროექტი, რაც ამავე ცენტრში მიმდინარეობს: „The Development of Literacy in the Caucasian Territories“ („დამწერლობის განვითარება კავკასიის ტერიტორიებზე“), რის ფარგლებშიც პროგრამულად მუშავდება და შესაძლებელი ხდება ისეთი პალიმფსესტური ხელნაწერების ქვედა ფენების გაშიფვრა, რომელიც მანამდე შეუძლებელი იყო. ეს კორპუსი მოიცავს ქართული, სომხური და კავკასიური ალბანური ტექსტების შემცველი ხელნაწერების დამუშავებასა და შესწავლას. ეს კი სრულ სურათს შექმნის სამი ხალხის ანბანური დამწერლობის საწყისი საფეხურისა და მისი განვითარების შესახებ.

კვლევა, რომელიც თბილისის არეალში და მის შემოგარენში არსებული ზოგიერთი საშიში გეოლოგიური მოვლენის შესწავლას ითვალისწინებდა

თამარ დადიანი

სულ ცოტა ხნის წინ თბილისში მომხდარმა 13 ივნისის სტიქიურმა უბედურებამ მრავალი კითხვა გააჩინა: არის თუ არა დედაქალაქში ცხოვრება უსაფრთხო? რა სეისმური საფრთხეების წინაშე ვდგავართ? თბილისში არსებული შენობები რამდენბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი და დედაქალაქში სეისმურად ყველაზე აქტიური რომელი რაიონია? – ამ კითხვებზე პასუხების ძიებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც დაინტერესდნენ და შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური პროექტის ფარგლებში საინტერესო კვლევა წარმოადგინეს. კვლევა, თანამედროვე გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე, ქალაქ თბილისის არეალში და მის შემოგარენში არსებული ზოგიერთი საშიში გეოლოგიური მოვლენის შესწავლას ითვალისწინებდა. თუ რა იყო ამ კვლევის მიზანი და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მიმართულებით კვლევების ჩატარებას, ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მარიამ ელიზბარაშვილი:

– ქალაქ თბილისის არეალში და მიმდებარე ტერიტორიებზე მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა საშიში გეოლოგიური მოვლენა: მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და სხვა, რაც საფრთხეს უქმნის შენობა ნაგებობებს, გზებს, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტს და, ბუნებრივია, უარყოფითი ზეგავლენა შეუძლია იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე და ადამიანთა მსხვერპლიც კი გამოიწვიოს. ყოველივე ამის თავიდან აცილება შესაძლებელია მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარი შეფასებით, რაც პრევენციისა და მოსალოდნელი ზიანის მაქსიმალურად შერბილების შესაძლებლობას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ასევე ქალაქის შემდგომი განვითარების გეგმაში იქნება გათვალისწინებული.

ეს საშიში გეოლოგიური მოვლენები განსაკუთრებით სახიფათო ხდება თანამედროვე გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე. უკანასკნელი წლების კვლევებმა გვიჩვენა, რომ სწორედ კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე ხდება ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა, მათ შორის, თავსხმა ნალექების. თავსხმა ნალექები კი სხვა მუდმივმოქმედ ფაქტორებთან ერთად (გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ტექტონიკა, ჰიდროგეოლოგია და სხვა) ხელს უწყობს საშიში გეოლოგიური მოვლენების – მეწყერის, ღვარცოფის, ქვათაცვენის მასშტაბის, სიხშირისა და ინტენსივობის ზრდას. აღსანიშნავია ისიც, რომ გეოლოგიური პროცესები მუდმივ დინამიკაში იმყოფება, ამიტომ განსაკუთრებით აქტუალურია ქალაქ თბილისის არეალში და მის შემოგარენში საშიში გეოლოგიური პროცესების დღეს არსებული მდგომარეობის შესწავლა. აღნიშნული კვლევა შეავსებს ამ პროცესებზე დღეს მიმდინარე თუ არსებულ კვლევებს და უფრო სრულყოფილ სურათს გვაძლევს, რაც უმნიშვნელოვანესია, ერთი მხრივ, სამეცნიერო თვალსაზრისით, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ეს კვლევა უმნიშვნელოვანესი გამოცდილება იყო პროექტში ჩართული სტუდენტებისათვის. პროექტმა გაიმარჯვა შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში და სტუდენტებს მიეცათ საშუალება არა მარტო განეხორციელებინათ კვლევა, არამედ შედეგები წიგნის სახით გამოექვეყნებინათ, დაებეჭდათ საველე კვლევების დროს გადაღებული ფოტოები.

> **არის თუ არა დედაქალაქში ცხოვრება უსაფრთხო? რა სეისმური საფრთხეების წინაშე ვდგავართ? თბილისში არსებული შენობები რამდენბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი და დედაქალაქში სეისმურად ყველაზე აქტიური რომელი რაიონია? – ამ კითხვებზე პასუხების ძიებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც დაინტერესდნენ და შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური პროექტის ფარგლებში საინტერესო კვლევა წარმოადგინეს**

– რა იკვლიეს პროექტის ავტორებმა და რა მნიშვნელოვანი საკითხები გამოიკვეთა პროექტზე მუშაობის განმავლობაში?

– წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიზანი იყო თანამედროვე გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე ქალაქ თბილისის არეალში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური მოვლენების შერჩევა, შესწავლა და აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციული პუბლიკაციის მომზადება. მართლაც მომზადდა და გამოიცა წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის და მისი შემოგარენის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება: საზღვრები, რელიეფი, გეოლოგიური პირობები, ჰიდროგრაფია, კლიმატი; ასევე, ქალაქ თბილისში და მის შემოგარენში არსებული ზოგიერთი საშიში გეოლოგიური მოვლენა თანამედროვე კლიმატური ცვლილების ფონზე.

– ვინ იყვნენ პროექტის ავტორები?

– პროექტის ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე ინაშვილი, პროექტში, ასევე, ჩართულნი იყვნენ ანანო ღაღვიშვილი და მარიამ ჭიალაშვილი – სამივე თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის „გეოგრაფია“ მე-3 სემესტრის სტუდენტია. პროექტის განხორციელებისას სტუდენტებს კონსულტაციებს ვუწევდით მე და ასისტენტ პროფესორები: გიორგი დვალაშვილი და გიორგი გაფრინდაშვილი. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა მთლიანად შემოიარეს თბილისი და მისი შემოგარენი.

– როგორ ჩაიარა კვლევის პრეზენტაციამ და როგორ შეაფასებდით სტუდენტების მუშაობას?

– სამუშაო ჯგუფმა პროექტი დაასრულა. ყველა ამოცანა და აქტივობა წარმატებით და ჯეროვნად შესრულდა და მიღწეულ იქნა პროექტის მიზანი. პროექტის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა თემა და სტუდენტებმა მოხსენება წარადგინეს 2023 წლის 19 დეკემბერს სამეცნიერო კონფერენციაზე: „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“. პროექტის ფარგლებში, ასევე, მომზადდა და გამოიცა წიგნი: „თბილისი. თანამედროვე გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე არსებული ზოგიერთი საშიში გეოლოგიური პროცესი“.

2024 წლის 1 თებერვალს კი თსუ-ს პირველი კორპუსის მუზეუმის სივრცეში მოეწყო წიგნის პრეზენტაცია და ფოტოგამოფენა, სადაც ამ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სტუდენტების მიერ თბილისში გადაღებული ფოტოები. ფოტოები ასახავს ქალაქ თბილისის რთულ რელიეფსა და გეოლოგიური თვალსაზრისით კრიტიკულ ადგილებს.

რა იკვლიეს პროექტის ავტორებმა

სამაგისტრო პროგრამის – „კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია“ – მაგისტრანტები კა’ფოსკარის უნივერსიტეტში

შურთხია ბეროშვილი

ელენე ბერაია და ლუკა ფადიურაშვილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტის წარჩინებული მაგისტრანტები არიან. მათ „ერაზმუს +“-ის გაცვლითი პროგრამით შემოდგომის სემესტრი ვენეციაში, კა’ფოსკარის უნივერსიტეტში გაატარეს. მაგისტრანტებმა კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და შედეგად 2023 წლის სექტემბრიდან სწავლა იტალიაში განაგრძეს.

„თსუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მივიღე მონაწილეობა და, შესაბამისად, გამიჩნდა სურვილი საზღვარგარეთ გამეტარებინა გარკვეული დრო და მიმეღო სხვა აკადემიურ გარემოში სწავლის გამოცდილებაც. კა’ფოსკარის უნივერსიტეტი იმიტომ შევარჩიე, რომ აქ ჩემთვის, როგორც მომავალი ანთროპოლოგისთვის, საინტერესო კურსები იყო შემოთავაზებული. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქსაც. ვენეციაში ისტორია და თანამედროვეობა საინტერესოდ თანაარსებობენ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ შუა საუკუნეების გოთიკურ შენობებში და უნიკალური მუზეუმების გარემოში მიმდინარეობს, ამასთან, სრულიად თანამედროვედ აღჭურვილი სააუდიტორიო სივრცეები და ბიბლიოთეკებია სტუდენტთა სამსახურში. კა’ფოსკარის უნივერიტეტში გატარებულმა სემესტრმა დიდი გამოცდილება შემძინა, პიროვნულადაც და პროფესიულადაც. ძალიან საინტერესო კურსები გავიარე მსოფლიოში აღიარებულ პროფესორებთან. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებთან და პროფესორებთან ურთიერთობები და ახალი კონტაქტები. ლექციებს გვიკითხავდნენ იტალიელი, გერმანელი და ამერიკელი პროფესორები. მინდა აღვნიშნო, რომ თსუ-ში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით საკმაოდ კონკურენტუნარიანი აღმოვჩნდი, თავისუფლად ვერთვებოდი აკადემიურ დისკუსიებში. მაგალითად, სალექციო კურსის – „უძველესი რელიგიები და მაგია ხმელთაშუაზღვის აუზში“ – გავლისას ძალიან გამომადგა საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ეთნოგრაფიული მასალის ცოდნა პარალელების გამოსაკვეთად, რაც ლექტორისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა და სამომავლო თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვა.

ჩემთვის, ასევე, მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმოჩნდა ინტერდისციპლინურ კონფერენციებზე დასწრება, ახალი აკადემიური გამოწვევების შესახებ მიმდინარე მსჯელობების მოსმენა და მათი გადაჭრის გზებზე დისკუსიებში ჩართვა. გავიარე საგნები, სადაც ისეთ საკითხებზე მიდიოდა დებატები, რომლებსაც ერთი შეხედვით ჩემს უშუალო სფეროსთან – კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიასთან კავშირი არ აქვს. ამან დამაფიქრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება ჩემს ინტერესებს დავუკავშირო სხვადასხვა თემები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ დიდ სამეცნიერო დებატებში ჰუმანიტარიის მომავლის შესახებ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სამეცნიერო წრეების ინტეგრაციის საჭიროება და ანთროპოლოგიური ცოდნის მნიშვნელობა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი არჩევანის სისწორეში. ჩემი უცხოეთში გატარებული სემესტრის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა სტუდენტს ვურჩევ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, ეს დაეხმარებათ მათ დარწმუნდნენ საკუთარ თავში და გაიზარდნონ პიროვნულადაც და აკადემიურადაც. ჩვენი საზღვარგარეთ სწავლა ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი მგონია, რადგან გვეძლევა საშუალება წარვადგინოთ ჩვენი ისტორია, კულტურა და თანამედროვეობა“, – ამბობს ელენე ბერაია.

ვენეციაში მიღებულ შთაბეჭდილებებს ლუკა ფადიურაშვილიც გვიზიარებს: „ერაზმუსის გაცვლითი პროექტი ვენეციის კა’ფოსკარის უნივერსიტეტში საუკეთესო შესაძლებლობა აღმოჩნდა – მიმეღო ფორმალური და არაფორმალური განათლება როგორც აკადემიურ, ასევე, ცხოვრებისეულ დონეზე ჩემთვის აქამდე უცნობ გარემოში. ამ სივრცეში ადაპტაცია არა მხოლოდ იტალიურ, არამედ მულტიკულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების შეცნობასაც ნიშნავდა, რამდენადაც, უნივერსიტეტში საერთაშორისო პროგრამების წყალობით სტუდენტები მსოფლიოს უამრავი კუთხიდან იყრიდნენ თავს. უცხოენოვან გარემოში ცხოვრებით შექმნილი ბარიერები, ბიუროკრატიასთან გამკლავება თუ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, პირადი სივრცის მოწყობა თუ ახალი პასუხისმგებლობები არაფორმალური განათლებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენს, რაც საბოლოო ჯამში პიროვნული ზრდისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეპოვა ახალი ინტერესები – საკუთარი თავი განსხვავებულ დისციპლინებში, გამეგო როგორ ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის სისტემები (განათლების, ჯანდაცვისა თუ სამოქალაქო უსაფრთხოების) საზღვარგარეთ, რათა წარმოდგენა შემქმნოდა – რა არის იქ, რაც არ არის ჩვენთან, რა მოგვწონს შორიდან და რასაც შორიდან ვხედავთ, როგორია სინამდვილეში ახლოდან. არაფორმალური დაკვირვებით, საუბრებით და ადგილობრივებთან ინტერაქციით იმაზე მეტის სწავლა შევძელი, ვიდრე ჩემი არჩეული ნებისმიერი საგანი მომცემდა. და რაც მთავარია, დავიწყე იტალიურის შესწავლა, რამაც ამ სივრცეში ინტეგრაცია და ადამიანებთან დაახლოება გამიადვილა, ამავდროულად კი იქაური ყოფითი ცხოვრების სიღრმეებში შესვლისა და მეტად შეგრძნების საშუალება მომცა“, – ამბოს ლუკა ფადიურაშვილი.

თსუ-ს კა’ფოსკარის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალმხრივი ისტორია აქვს. უკვე წლებია, თსუ-სა და კა’ფოსკარის უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მუშაობს გაცვლითი პროგრამები, მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით.

კახა ელიავა: „ჰელსინკის უნივერსიტეტში ყველანაირი პირობაა შექმნილი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვისაც“

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მე-4 კურსის სტუდენტს კახა ელიავას ბავშვობიდან მოსწონდა ტექნიკური საგნები, ამიტომ გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობები ეკონომიკის სფეროში გამოეცადა.

„აბიტურიენტობისას ზუსტად განსაზღვრული არ მქონდა – რა მიმართულებით გავაგრძელებდი სწავლას და კონკრეტულად რომელ დარგს ავირჩევდი. ჩემი აზრით, 18 წლის ასაკში პროფესიის არჩევა საკმაოდ რთულია და სავსებით ნორმალურად მიმაჩნია, თუ აბიტურიენტებმა არ იციან რა პროფესიის დაუფლება სურთ. ჩემ შემთხვევაში, ბიზნესის დარგი სხვა სფეროებთან შედარებით ყველაზე მეტად მაინტერესებდა, ბიზნესის ფაკულტეტზე ვაპირებდი ჩაბარებას. თუმცა, ბოლო მომენტში არჩევანი ეკონომიკის შესწავლაზე შევაჩერე, ვინაიდან შედარებით უფრო მრავლისმომცველი სფეროა. ამავდროულად, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ევროპული განათლების მიღების საშუალებას იძლევა და ვფიქრობ, დღესდღეობით უკონკურენტოა. ჩემთვის ეს განსაკუთრებით მომხიბვლელი აღმოჩნდა. ამასთანავე, პროგრამა ინგლისურენოვანია, რაც უცხოეთში სწავლის გაგრძელებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება და წინგადადგმული ნაბიჯია“, – აცხადებს კახა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ERASMUS+ გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ფინეთში, ჰელსინკის უნივერსიტეტში. კახასთვის გაცვლით სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა უცხო გარემოში საკუთარი თავის გაცნობის კარგი საშუალება გახდა.

„გარდა იმისა, რომ გაცვლითი პროგრამით ევროპულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება აკადემიური განვითარების საშუალებაა, პროგრამა პიროვნული ზრდისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩემ შემთხვევაში, მთავარი მოტივაცია კომფორტის ზონის დატოვებისა და უცხო გარემოში საკუთარი თავის აღმოჩენის სურვილი იყო.

ISET-ში პერსონალი პროფესიონალი ლექტორებითაა დაკომპლექტებული. მათი გამოცდილება ჩემთვის გახდა ინსპირაცია გაცვლით პროგრამაში მიმეღო მონაწილეობა, ამას გარდა, ვფიქრობ, სტუდენტებს შორის არსებული მაღალი კონკურენციაც დამეხმარა. როდესაც შენი კურსელები საკმაოდ მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, ეს შენთვისაც სამაგალითო და მოტივის მომცემია. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება ან შესაბამისი სერტიფიკატის ქონა. გამოცდას თავად უნივერსიტეტი ატარებს სემესტრის დაწყებამდე და მეც ამ გამოცდის ჩაბარება მომიწია. შემდეგი ეტაპი სასურველი გაცვლითი პროგრამის მოძიება და მასში მონაწილეობაა. ასევე აუცილებელია რეკომენდატორების მოძიება. ეს ყველა ეტაპი ჩემს მეგობარ კურსელებთან ერთად გავიარე, ერთმანეთის დახმარებით კი ეს პროცესი საკმაოდ საინტერესო და გაცილებით უფრო მარტივი აღმოჩნდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და რეკომენდატორებს. ჩემი აზრით, გაცვლითი პროგრამის საშუალებით უცხოეთში სწავლა არცერთი სტუდენტისთვის არ წარმოადგენს მათი შესაძლებლობების მაქსიმუმს“, – ასე ფიქრობს მომავალი ეკონომისტი და იმედოვნებს, რომ აქ მიღებული აკადემიური განათლება და გამოცდილება დაეხმარება კარიერულ ზრდაში.

„ჰელსინკის უნივერსიტეტში ყველანაირი პირობაა შექმნილი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვისაც. ლექტორებს მეტი საშუალება აქვთ გამოიყენონ სხვადასხვა სახის თანამედროვე ტექნიკა, რითაც ლექციის პროცესი უფრო საინტერესო და გასაგები ხდება. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის თანამედროვე ბიბლიოთეკები და კაფეტერიები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა წერტილშია განთავსებული. ასევე ჩამოყალიბებულია ძალიან ბევრი სტუდენტური ორგანიზაცია, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის ხშირად აწყობენ წვეულებებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს. თუმცა, რამის შეცვლა რომ შემეძლოს, პირველ რიგში, აქ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებს მოვაგვარებდი.

ასევე განსხვავებულია სწავლის სპეციფიკა. აქ სემესტრი ორ ნაწილადაა გაყოფილი. საგნების უმეტესობა ნახევარი სემესტრი გრძელდება, მაგრამ ლექციები კვირაში ორჯერ ტარდება. შესაბამისად სწავლის ტემპი საკმაოდ ჩქარია“, – აცხადებს კახა ელიავა, ვისთვისაც სამშობლოში დაბრუნება და უცხოეთში სწავლისას დაგროვილი ცოდნის გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ქალების დიდი წვლილი მეცნიერებაში

მაია ტორაძე

არ არსებობს დარგი, რომლის განვითარებაშიც ქალებმა უდიდესი წვლილი არ შეიტანეს. ქალები არიან სწორედ საზოგადოების ის მნიშვნელოვანი წევრები, რომლებიც დღემდე თანასწორ ჭაპანს სწევენ მეცნიერებასა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დამატებით კი საკუთარი მხრებით ეზიდებიან ოჯახის, შვილის გაჩენის და დედობის სირთულეებს. ასე მოვიდნენ აქამდე – ჭკვიანები, ძლიერები და უამრავი სირთულეების გადამტანნი, როგორც პროფესიონალები, კვალიფიციურები და სამეცნიერო საქმეში წარმატებულები.

ქართული სამეცნიერო საზოგადოება არაერთი ქალი მეცნიერით ამაყობს, მათ შორის, იყვნენ და არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერ-მკვლევარი ქალები, რომლებსაც მსოფლიო ასპარეზზე გააქვთ საქართველოს სახელი. ამ სახელებს რომ უყურებ და მათ საქმიანობას თვალს გაადევნებ, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ დიახ, მეცნიერება ქალების საქმეცაა!

* * *

მანანა ხაჩიძე, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების პროფესორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2022 წელს დასახელებული „საუკეთესო ქალი მეცნიერი“:

– 1987 წლიდან იწყება ჩემი მოღვაწეობა მეცნიერებაში, თანაც ისეთ სფეროში, რომელიც, რატომღაც, „არაქალურ“ სფეროდ (თანამედროვე ტერმინოლოგიით ICT „საინფორმაციო -საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“) ითვლება. სიმართლე გითხრათ, ამ ხნის განმავლობაში არ მიგრძნია, რომ რაიმე წინააღმდეგობა შემხვედროდა როგორც ქალს. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილებაში, რომელსაც დიდი მეცნიერი ვლადიმერ ჭავჭანიძე ხელმძღვანელობდა, უმრავლესობა ქალი ვიყავით და ახლაც კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა ნახევარი ქალია. ასევე აღვნიშნავ, რომ თსუ IT დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქალია. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) მიმართულების ICT ქვემიმართულებით მეცნიერების განვითარებაში თსუ-ს წვლილი თანაბრად ეკუთვნის როგორც კაცებს, ასევე ქალებს.

STEM სფეროში მსოფლიო დონეზე ქალი მეცნიერების კვალი უზარმაზარი და მნიშვნელოვანია. რამდენიმე მაგალითი: მარი კიური (ვარშავა, 1867-1934) – გამოირჩევა არა მხოლოდ ფიზიკასა და ქიმიაში შეტანილი წვლილით, არამედ მედიცინაში რადიოაქტიურობის გამოყენების პიონერად ითვლება (ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი); შირლი ენ ჯექსონი (ვაშინგტონი, DC, 1946) – პირველი პიონერული სამუშაო ნაწილაკების ფიზიკის კვლევაში, რამაც ხელი შეუწყო სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარებას, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ტექნოლოგიებს – მობილური ტელეკომუნიკაციებიდან ოპტიკურ ბოჭკოებამდე; ადა ლავლეისი (ლონდონი, 1815-1852) – მე-19 საუკუნის ბრიტანელი მათემატიკოსი, ითვლება პირველ კომპიუტერულ პროგრამისტად. მისმა ხედვამ მანქანების პოტენციალის შესახებ საფუძველი შეუქმნა თანამედროვე გამოთვლების განვითარებას. მარგარეტ ჰამილტონი (ინდიანა, 1936) – მონაწილეობდა Apollo 11 მისიაში.

მსოფლიოში დამკვიდრებული სტერეოტიპი ქალებზე STEM მიმართულების მეცნიერებებში ადგილის შესახებ მეტწილად სოციალური ფაქტორებითაა გამოწვეული. ჩემი აზრით, ისტორიულად ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრობლემა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში უფრო მწვავედ იგრძნობოდა და იგრძნობა, ვიდრე საქართველოში. ქალი და მეცნიერება ნაკლებად საინტერესოა დღესდღეობით ახალგაზრდებისათვის, რამეთუ ერთ-ერთი დაბალანაზღაურებადი სფეროა საქართველოში. დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მეცნიერებით, წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას უცხოეთში. ეს კი ქმნის კადრების დეფიციტს გენდერული ნიშნის გარეშეც. ვშიშობ, მალე ქალი მეცნიერებაში და, ზოგადად, ახალგაზრდა მეცნიერებაში დიდი იშვიათობა იქნება საქართველოში.

პესიმისტურად გამომივიდა – ამჟამად მყავს ორი დოქტორანტი გოგონა, მსურველებიც არიან....

ყველა ქალბატონს ვულოცავ დღესასწაულს, განურჩევლად იმისა, მოსწონს თუ არა მეცნიერება!

* * *

ირინე ქურდაძე, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

– ქალთა საერთაშორისო დღეს მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ქალების დიდი წვლილი მეცნიერებაში. მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა (ცნობილია, რომ ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის 64 ქალია), ასევე კარგად არის ცნობილი, რომ ქალი მეცნიერები ჯერ კიდევ დგანან სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. კვლევები აჩვენებს, რომ მსოფლიოს მასშტაბით სისტემური ბარიერები ხელს უშლის ქალებს კვლევაზე ორიენტირებული კარიერის შექმნაში, ხოლო გენდერული უთანასწორობა არსებობს დასაქმების, აკადემიური დაწინაურების და დაფინანსების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის კუთხით.

გაეროს მიერ 2015 წელს მიღებული 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მიმართულია მეცნიერებაში ქალთა და გოგონების მდგრადობის ხელშეწყობაზე, რაც ერთ-ერთ სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენს. მდგრადი განვითარების მიზნები მოქმედებს როგორც გეგმა ყველა ქვეყნის მდგრადი მომავლის მისაღწევად, ვინაიდან მეცნიერებაში თანასწორობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის. მნიშვნელოვანია მომავალი ქალი მეცნიერების გაძლიერება გოგონების მხარდაჭერითა და წახალისებით ამ სფეროში.

საქართველომ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ეროვნული დოკუმენტი მოამზადა, რომელშიც მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, აკადემიური და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა და დადგინდა 200-მდე ინდიკატორი. დოკუმენტის საფუძველზე ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შექმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საქართველოს წინსვლის ერთ-ერთი გარანტიაა, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ქალი მეცნიერების წარმოჩენას, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე.

* * *

მაკო გოგილაშვილი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი:

– მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქალი მეცნიერი მარი კიური წერდა: „მასწავლეს, რომ გზა პროგრესისკენ არც სწრაფია და არც მარტივი“. ქალი წარმოადგენს იმ უდიდეს რესურსს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერების, ტექნოლოგიების და პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ქალად ყოფნა მუდმივი გამოწვევებისა და საპასუხისმგებლო ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს, ამ ერთი შეხედვით, სუსტ არსებებს იმაზე მეტი ძალა და რესურსი გაგვაჩნია, ვიდრე რომელიმე სხვას სამყაროში....

ყველა დროის უდიდეს მეცნიერებს შორის მრავლად არიან ქალები და მათ არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები ეკუთვნით, არამედ ზოგიერთი მათგანის ღვაწლმა სამუდამოდ შეცვალა ზოგადად მსოფლიოც.

სამეცნიერო საზოგადოების განვითარებაში, გენდერული დისკრიმინაციის მიუხედავად, არაერთმა ქალმა შეიტანა წვლილი; ყველაზე პირველი, ვინც მახსენდება, ელის ბოლია, პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელმაც მაგისტრის ხარისხი მოიპოვა და კეთრის მკურნალობის ახალი მეთოდი გამოიგონა, ასევე, გრეის ჰოპერი – ქალი, რომელიც იყო ჰარვარდის Mark I კომპიუტერის ერთ-ერთი პირველი პროგრამისტი... ასეთი ქალები იძლევიან სტიმულს სხვა ქალებისთვის, რომ ვიყოთ წარმატებულნი ყველა და, მათ შორის, მეცნიერების სფეროშიც.

ამბობენ, რომ მარტი ქალების თვეა... ყველა ქალს ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ წარმატებას, თავის დამკვიდრებას სამეცნიერო სფეროში და დიდი მიზნებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

* * *

თამარ პაიჭაძე, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

– აკადემიურ სივრცეში ყოფნა, მუშაობა, მასთან შეთავსება, დამკვიდრება და ბოლოს შედეგის წარმოჩენა ფრიად სპეციკურია, რთული და მრავალი მნიშვნელობით განისაზღვრება. ამ მიდგომებში

არ იგულისხმება ხაზგასმით ქალი თუ მამაკაცი, რადგან, ვფიქრობ, ეს გარემო ორივესთვის თანაბარმნიშვნელოვნად მომთხოვნია. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მძაფრია, თუკი სამოქალაქო საზოგადოების პოზიციასაც გავითვალისწინებთ აკადემიური სექტორის მიმართ, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალის ელ-

გვ. 12

^ მე-11 გვ-დან

იტარულ საზოგადოებად აღქმას და განსაკუთრებულ ყურადღებას მათი აზრებისა და პოზიციების მიმართ. ეს ყოველივე კი არის ერთგვარი გამოწვევა აკადემიურ სივრცეში მომუშავე ადამიანისთვის, რომ მისი აზრები, შეხედულებები, ცოდნა და უნარები იყოს პასუხი ამ მოთხოვნებზე. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ თანამედროვე საზოგადოებას/აუდიტორიას საკმაოდ პრინციპული და კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები აქვს ამ საზოგადოების სამეცნიერო, კვლევით თუ სასწავლო პროცესების მიმართ. სწორედ აქედან უნდა განისაზღვროს აკადემიურ სივრცეშო პიროვნების როლი და ადგილი, მისი მიღებისა და დაფასების ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური სივრცე/სექტორი ერთ კრებსით და თავსებად ცნებად მოიაზრება, დღევანდელ რეალობაში ის სხვადასხვა ხასიათის, ფორმისა და სპეციფიკის სექტორებად აგრძელებს მუშაობას და შესაბამისად, ალბათ, განსხვავებულია ამ გარემოში მოღვაწეთა საქმიანობისა და მისი შდეგების შეფასების ხარისხი. მიუხედავად აღნიშნელი თანაბარმნიშვნელოვანი გამოწვევისა (ქალი და მამაკაცი), ქალი თავისთავადი სუბიექტია აკადემიურ გარემოში და მისი ინტუიტიური ფსიქოლოგიით გარკვეულ პოზიტიურ შედეგსაც განაპირობებს.

მაგრამ როგორია მისადმი უკუგება? რამდენად არის ქალი დაფასებული ამ გარემოში?

ვფიქრობ, ასეთი კითხვის დასმა არ უნდა გულისხმობდეს შეღავათიან პოზიციას (ინდულგენციას) ქალისა და მისი საქმიანობისადმი.

აკადემიურ სივრცეში მუშაობა არის არცთუ ხანმოკლე პროცესი, სადაც ადამიანი დებს საკუთარ აზრებს, შეხედულებებს, პოზიციას, ინტელექტს და დროს. შეფასებანი კი ცენზობრივი და წოდებრივი საფეხურებებითაც განისაზღვრება, მატერიალური მიდგომებითაც და ადამიანური რესურსებითაც. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ალბათ ყველაზე უშუალოა და მართალი, რადგან ეს დაფასება და რეაქცია შედგება აუდიტორიის, რეციპიენტის, სტუდენტის, კოლეგის დამოკიდებულებებისგან და განსაკუთრებით ძვირფასია.

რაც შეეხება დაფასების სხვა აღნიშნული გამოხატულების ფორმებსა და კრიტერიუმებს, ჯერ დასახვეწია, რადგან აკადემიური სექტორის წარმომადგენელთა მიმართ ხარისხობრივი და ადმისიტრაციული მიდგომები აშკარად დროის შესადაგის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, რისი მაგალითიც აშკარადაა ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგების აკადემიური ყოფა.

ამ შეხედულებების ფონზე განსაკუთრებულად იკვეთება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ყოველთვის იყო აკადემიური ცხოვრების ასპარეზი, ხოლო მისი პოლიტიკა აკადემიური პერონალისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა და მისი დაფასება. ეს ტენდენცია მიმდინარე პერიოდში იკვეთება და ვიმედოვნებთ, რომ მეტად სრულყოფილი და მიზანმიმართული იქნება.

* * *

ეთერ ხარაიშვილი, პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი:

– 21-ე საუკუნის სირთულეები და გლობალური გამოწვევები პრობლემების გადაჭრისადმი ჰოლისტიკურ მიდგომებს და განვითარების ახალი პერსპექტივების გამოვლენას მოითხოვს. ასეთ პირობებში არსებითია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით მეცნიერებაში, როგორც მამაკაცების, ასევე, ქალების მხრიდან თანაბარი წვლილის შეტანა.

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, დღეს მეცნიერებაში გენდერული უთანასწორობაა – ყოველი სამი მეცნიერიდან მხოლოდ ერთია ქალი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მრავალ ქვეყანაში, მეცნიერების მრავალ დარგში, წარმატებით მიმდინარეობს გენდერული სტერეოტიპების დემონტაჟი.

მეცნიერებაში გენდერული თანასწორობის მიღწევის გზა გამოწვევების გარეშე

არ არის საქართველოშიც, მაგრამ ეს არის გზა, რომლის გატარებაც ღირს. ბოლო პერიოდის სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება, რომ სულ უფრო მეტი ქალი შემოდის სამეცნიერო ასპარეზზე და იზრდება მათი როლი სამეცნიერო კვლევებსა და მართვაში. თავიანთი საქმიანობის თვალსაჩინო პროგრესით, მეცნიერებისკენ მიმავალი გზების ბარიერებთან და სტერეოტიპებთან დაპირისპირებით, მიკერძოებებთან, ღრმად ფესვგადგმულ სოციალურ ნორმებთან და ნეგატიურ მოლოდინებთან ბრძოლით ქალბატონებმა დაამტკიცეს, რომ მამაკაცებთან ერთად მეცნიერება ქალის საქმეც არის.

* * *

ინეზა გაგნიძე, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

– თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელია განვითარების ძალიან სწრაფი ტემპი. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ციფრულ ეპოქაში დასაქმებისთვის უპირველესი მოთხოვნა ანალიტიკური აზროვნების უნარი იქნება. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით შეუძლიათ აზროვნება. ინტერნეტ-სივრცეში მრავალი სტატიის მოძიება შეიძლება, რომელიც ქალისა და მამაკაცის აზროვნების სტილს აშუქებენ. როგორც აღნიშნულია ერთ-ერთ მათგანში – „დანიელმა მკვლევარმა, ბერტ პაკენბერგმა გაარკვია, რომ მამაკაცის ტვინში ოთხი მილიონი უჯრედით მეტია, მაგრამ ტესტირების დროს ქალები 3%-ით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. აღმოჩნდა, რომ ამაში „დამნაშავეა“ ე.წ. ტვინოვანი ქსოვილი, რომელიც ერთგვარი „სადენის“ როლს ასრულებს თავის ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებს შორის. პროფესორ ზ. კოკაიას სტატიაშიც იგივე ამოვიკითხეთ, რომ „ქალებს ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა უფრო ადვილად შეუძლიათ“. მეცნიერებაში ქალთა წარმატება ახალი არაა, თუ გავიხსენებთ მარი სკლოდოვსკა-კიურს, რომელმაც ნობელის ორი პრემია მიიღო ორ სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, ფიზიკასა და ქიმიაში. მომავალში ხელოვნური ინტელექტი მარტივ და განმეორებად საქმიანობას ყველგან ჩაანაცვლებს, შესაბამისად ქალის განსხვავებული აზროვნების სტილი ყველა სფეროში მოთხოვნადი გახდება. აღნიშნულის მიზეზია ისიც, რომ წარმა-

ტებული კომპანიები მმართველ რგოლში ბოლო პერიოდში ქალების ჩართულობას დიდ ყურადღებას აქცევენ. ანალოგიურადაა მეცნიერებაშიც, ვინაიდან პრობლემების გადაწყვეტას ინტერდისციპლინური ხედვა, რაციონალურობა და თანმიმდევრულობა ესაჭიროება. შესაბამისად, ერთდროულად მრავალი მიმართულებით საკითხის გააზრების აუცილებლობა ქალებს მეცნიერებაშიც ახალ და დიდ ასპარეზს გაუხსნის.

უნივერსიტეტის ჯილდო ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნინო (ნუნუ) მინდაძე უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

ნუნუ მინდაძის სახელი ეთნოლოგების სამეცნიერო საზოგადოებაში კარგადაა ცნობილი – მან ღირსეულად განაგრძო ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლების, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და პროფესორ ვერა ბარდაველიძის საქმე და დღემდე მათ მოსწავლედ მიიჩნევს თავს. ნუნუ მინდაძის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების თემები: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხალხური მედიცინა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“ (1977წ.) და „ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა“ (2000წ.) იმთავითვე მოექცა ცნობილ ეთნოლოგთა ყურადღების ცენტრში; ხოლო მისი ავტორობით გამოცემული ნაშრომები: „ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები“ (2005 წ) და „ქართული ხალხური მედიცინა: აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“ (1981წ.) კარგა ხანია ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა და ხალხური მედიცინით დაინტერესებულ პირთათვის სამაგიდო წიგნადაა ქცეული.

ნუნუ მინდაძეს უნივერსიტეტის მედალი გადაეცა ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის, 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

დაჯილდოების ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექ-

ტორმა ჯაბა სამუშიამ ნუნუ მინდაძის სამეცნიერო ღვაწლზე, მის ნაშრომებზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა ქვეყნისთვის და უნივერსიტეტისთვის გაწეული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. მისი თქმით, ნუნუ მინდაძე წლებია მოღვაწეობს ქართული ეთნოლოგიის განვითარებისთვის. მას ეკუთვნის ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომები ხალხურ მედიცინაში და თითოეული მისი გამოკვლევა, როგორც ეთნოლოგებისთვის, ასევე საქართველოს ისტორიის წარსულით დაინტერესებული მკვლევრებისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროებია.

ნუნუ მინდაძის ნაშრომები არა მარტო საქართველოში, სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არის გამოცემული. ჯაბა სამუშიას ინიციატივით კი ამ გამოცემებს კიდევ ერთი დაემატება – უნივერსიტეტი გამოსცემს ნუნუ მინდაძის შრომების სერიას.

პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა მადლობა გადაუხადა რექტორს ინიციატივისთვის და აღნიშნა, რომ ნუნუ მინდაძის შრომების თავმოყრა და თსუ-ს მიერ ახალი ტომის გამოცემა იქნება მართლაც დიდი შენაძენი ქართული სამეცნიერო სივრცისა და კონკრეტულად ეთნოლოგიური მეცნიერებისთვის. „მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ნუნუ არის არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ ბრწყინვალე პედაგოგიც. ის დღესაც გადასცემს ფუნდამენტურ მეცნიერულ ცოდნას ახალგაზრდებს და, ამასთან ერთად, ასწავლის – როგორი უნდა იყოს ადამიანი, მეცნიერი, ურთიერთობები მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ მან ფრთა შეასხა გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის იდეას და დააარსა ქართული ეთნოლოგიური სკოლა, რომელსაც საქმის ღირსეული გამგრძელებლები ჰყავს“, – აღნიშნა ქეთევან ხუციშვილმა.

მეცნიერის დამსახურებებსა და მის ღირსეულ მოღვაწეობაზე არაერთი სიტყვა ითქვა. მას დამსახურებული ჯილდო მიულოცეს თსუ-ს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა, თსუ-ს მუზეუმის

> **“მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია უნივერსიტეტთან და მისგან ასეთი დაფასება ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ამ სიყვარულისთვის“**

დროებითი გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერმა მანანა ლილუაშვილმა, ეთნოლოგიის დოქტორმა თეა ქამუშაძემ, თსუ-ს ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელმა, ასოცირებულმა პროფესორმა თეიმურაზ გვიმრაძემ.

აკადემიკოსმა ლია მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ნუნუ მინდაძე, გარდა იმისა, რომ არის ქართული ეთნოლოგიური სამეცნიერო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, უამრავი ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნებაცაა. „60 წელზე მეტია მასთან მეგობრობა მაკავშირებს და ვამაყობ ამით. ის უდიდესი მეცნიერია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ – ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელიცაა. მის ნაშრომებს იცნობს არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი და ყველა ხაზგასმით აღნიშნავს ნუნუ მინდაძის გასაოცარ სამკვლევრო საქმიანობას. სულ მიკვირდა მისი გამძლეობის, მოთმინების, გულისხმიერების და საქმისადმი თავდადების ამოუწურავი რესურსის გამო. მან გააკეთა მართლაც საშვილთაშვილო საქმე და უზარმაზარ მასალას მოუყარა თავი“, – თქვა მან.

თსუ-ს პროფესორის როზეტა გუჯეჯიანის თქმით, ნუნუ მინდაძე ქართული ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამავე დროს, ის არის სრულიად ახალი ქვედისციპლინის – ადამიანის ეკოლოგიის საფუძველჩამყრელი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობის ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფის ტრადიციულ ქართულ გამოცდილებას.

ნუნუ მინდაძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს ჯილდოსთვის, კოლეგებსა და ღონისძიების სტუმრებს – დაფასებისთვის. „მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია უნივერსიტეტთან და მისგან ასეთი დაფასება ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ამ სიყვარულისთვის“,- განაცხადა მეცნიერმა.

დაჯილდოების ღონისძიებას პროფესორები, ნუნუ მინდაძის მოსწავლეები – სტუდენტები ესწრებოდნენ.

კავკასიის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში

თსუ-ში გაიმართა სამდღიანი ღონისძიება სახელწოდებით „კავკასიის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და მოწინავე მასალებში“, რომელიც მიეძღვნა მისი დამაარსებელისა და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ ომარ მუკბანიანის ხსოვნას და მისი დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

ღონისძიება ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, კერძოდ, სიმპოზიუმი დაფინანსებული იყო საგრანტო კონკურსით „მობილობა და საერთშორისო სამეცნიერო ღონისძიებები“ (MG-ISE-23-172).

სიმპოზიუმის ორგანიზატორი და პროექტის ხელმძღვანელია ქიმიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორი, მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ინსტიტუტის დირექტორი (თსუ) თამარ თათრიშვილი.

კონფერენცია მიზნად ისახავდა იმ სამეცნიერო მიღწევათა თავმოყრასა და წარმოჩენას, რომელსაც ამიერკავკასიის ქვეყნების მეცნიერები პოლიმერებისა და პოლიმერული მასალების პოპულარიზაციისთვის ახორციელებენ. სიმპოზიუმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო შედეგების, იდეების გაცვლასა და თანამშრომლობის სტიმულირებაში პოლიმერულ მეცნიერებასა და, ზოგადად, ტექნოლოგიების სფეროში მოქმედ მეცნიერთა შორის, როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან.

სიმპოზიუმში ამიერკავკასიის ქვეყნების გარდა მონაწილეობას იღებდნენ ამერიკელი, ყაზახი, ბელორუსი, უკრაინელი, ირანელი, გერმანელი, ფრანგი, პოლონელი მეცნიერები.

ზემოაღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია ერთ-ერთია იმ 22 საერთაშორისო პროექტს შორის, რომელმაც საგრანტო კონკურსის „მობილობა და საერთშორისო სამეცნიერო ღონისძიებები“ ფარგლებში გაიმარჯვა.

აღნიშნული საგრანტო კონკურსის მიზანი იყო საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების გზით მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა; ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და მათი საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციის ხელშეწყობა; ასევე მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი რამდენიმე ათეულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსს, მიზნობრივ პროგრამასა და პროექტს ახორციელებს. ამით ფონდი ჩვენს ქვეყანაში მკვლევართა ახალი თაობების მომზადებას, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისა და სამეცნიერო საზოგადოების კვლევითი პოტენციალის ზრდასა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერთა ინტეგრაციას უწყობს ხელს.

თსუ-ს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე მიმდინარე სამეცნიერო ფორუმები

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 105 წლისთავისადმი და ამავე უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 55 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ გაიხსნა. ამავე დღეს გაიხსნა კომბინირებული სამეცნიერო ღონისძიება, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო კონფერენციას „ლოგიკა, ალგებრა და ჭეშმარიტების ხარისხები“ (LATD 2023) და „თბილისის მეჩვიდმეტე საერთაშორისო საზაფხულო სკოლას ენასა და ლოგიკაში“ (Tbilisi 23).

საიუბილეო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ 2008 წლიდან ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. რაც შეეხება საერთაშორისო კონფერენციას „ლოგიკა, ალგებრა და ჭეშმარიტების ხარისხები“ (LATD 2023), ეს არის ტრადიციული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 2008 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. თავდაპირველად ის წარმოადგენდა „ევროპის საზოგადოება არამკაფიო ლოგიკისა და ტექნოლოგიებისათვის“ (European Society for Fuzzy Logic and Technology, EUSFLAT) მათემატიკური არამკაფიო ლოგიკის სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, ხოლო შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ალგებრული ლოგიკისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

* * *

სამეცნიერო ღონისძიებები თსუ-ში გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა.

ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს საპატიო დიპლომები გადასცა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის სიმონ სტოილოვის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ლუსიან ბეზნეამ.

„ის, რასაც ეს კონფერენცია უსვამს ხაზს, პირველ რიგში, არის საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც აქ მცხოვრებ ადამიანებს აქვთ ევროპასთან. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის არა უბრალოდ ფორმალური ურთიერთობები, არამედ ძალიან ღრმა სამეცნიერო კავშირები. მეორე ფაქტი, რომელიც მინდა გამოვყო, არის ის, რომ შესაძლოა ამჯერად უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს და სხვა შეხვედრებზე, ძალიან ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი გვესწრებოდა, რაც ძალიან მახარებს“, – აღნიშნა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში პროფესორმა ლუსიან ბეზნეამ, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა თსუ-ს ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მნიშვნელოვან საქმიანობას და საერთაშორისო კონტაქტებს. „პირველად არ ჩამოვსულვარ თბილისში. ჩართული ვარ ვეკუას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში და ხშირად გვაქვს კონტაქტები საქართველოსთან. ჩვენ მოვაწყვეთ რუმინელი მათემატიკოსების უზარმაზარი შეხვედრა მთელი მსოფლიოდან – ეს შეხვედრა ღია იყო საერთაშორისო მონაწილეობისთვისაც და ძალიან ძლიერი ჩართულობაც ვიხილეთ. ბედნიერი ვარ, რომ ვეკუას ინსტიტუტიდან პროფესორმა ნატალია ჩინჩალაძემაც მიიღო მონაწილეობა ამ კონგრესში. ჩვენი ინსტიტუტი ბუნებრივად არის ინტეგრირებული ევროპულ სტრუქტურებში. ერთი წელია მათემატიკის ევროპული საზოგადოებისა (European Mathematical Society) და მათემატიკის ევროპული კვლევითი ცენტრების (European Research Centres on Mathematics) წევრი ვართ. ეს ინტეგრაცია ხელს უწყობს ევროპის ამ ნაწილის კავშირებს მაღალი დონის კვლევით ცენტრებთან, როგორიცაა ვეკუას ინსტიტუტი“, – გვითხრა ლუსიან ბეზნეამ.

მანვე მოუწოდა ქართველ ახალგაზრდა მეცნიერებს მეტი ჩართულობისკენ იმ ღონისძიებებსა და ფორუმებში, რომელსაც მათემატიკოსთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება და კონკრეტულად რუმინეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები აწყობენ. „ეს იძლევა შესაძლებლობას, ახალგაზრდებმა საკმაოდ ახალი კვლევითი სფეროები ნახონ, ვინაიდან ყოველწლიურად ტარდება მაღალი ხარისხის კურსები კარგად შერჩეული ადამიანების მიერ. აუცილებლად ვეცდები, რომ აქედან მინიმუმ 1 ან 2 ახალგაზრდა წავიყვანო ამ კურსებზე“, – აღნიშნა ლუსიან ბეზნეამ.

* * *

კიდევ ერთი ღონისძიება – „თბილისის საზაფხულო სკოლა ენასა და ლოგიკაში“ 2005 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება (გამონაკლისი იყო მხოლოდ პანდემიური 2020 და 2021 წლები) პროფესორ მათიას ბააზის უშუალო ორგანიზებით და „კურტ გიოდელის საზოგადოების“ (ავსტრია) მხარდაჭერით. მათიას ბააზი კურტ გიოდელის საზოგადოების აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტია. მას დიდი როლი მიუძღვის საქართველოში თემატიკის პოპულარიზაციაში და პირიქით, საერთაშორისო დონეზე თსუ-სა და, ზოგადად, ქართველი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ცნობადობის ამაღლებაში. ამ და სხვა დამსახურებებისთვის მათიას ბააზს 2015 წელს თსუ-ს საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა. აღნიშნული სკოლის მიზანია მსმენელებისათვის მათემატიკური და კომპიუტერული ლოგიკის საფუძვლების გაცნობა, აგრეთვე გარკვეული საკითხები ეთმობა გამოყენებით ლინგვისტიკას. სკოლა, ძირითადად, განკუთვნილია კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის მიმართულებების ბაკალავრიატის მესამე და მეოთხე კურსელებისათვის, თუმცა იგი არანაკლებ საინტერესოა მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვისაც.

პროფესორმა მათიას ბააზიმ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან საუბარში დადებითად შეაფასა საზაფხულო სკოლის მუშაობა და აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი მთავარი რეგულარულად ჩატარებული სკოლა და კონფერენცია მათემატიკური ლოგიკის სფეროში. „წლებია ურთიერთობა მაქვს ქართველ მეცნიერებთან, მაგალითად, ვმეგობრობდი პროფესორ ხიმურ რუხაიასთან, მქონია კონტაქტები დავით გაბელაიასთან, მამუკა ჯიბლაძესთან და სხვებთან. სამწუხაროდ, ახალგაზრდა თაობაში შემცირდა მსგავსი ურთიერთობები, რაც ამგვარმა საზაფხულო სკოლებმა და სამეცნიერო ფორუმებმა უნდა აღადგინოს“, – გვითხრა პროფესორმა მათიას ბააზიმ.

სამეცნიერო ფორუმები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერითა და სპონსორობით გაიმართა.

ლევან გიგინეიშვილი: არსებობს აუცილებლობა, რომ გაგრძელდეს მიუკერძოებელი კვლევები კავკასიოლოგიის მიმართულებით

საერთაშორისო კონფერენცია – „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში – ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“

თამარ დადიანი

უპრეცედენტოდ მასშტაბური აღმოჩნდა უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო კონფერენცია – „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში – ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, რომელიც დაფინანსდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (გრანტის N MG-ISE-22-414). კონფერენცია ორგანიზებული იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციაში მონაწილეობდა 70-მდე მომხსენებელი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან: საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, კვიპროსი, საფრანგეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი, ნორვეგია, შვედეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, ბრაზილია, მექსიკა, კამბოჯა, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა.

კონფერენციის მასშტაბურობა, ძირითადად, ორმა ფაქტორმა განაპირობა: თემატიკის მრავალფეროვნებამ და უცხოელი და ქართველი მკვლევრების გაუნელებელმა ინტერესმა კავკასიის ისტორიის, კულტურის საკითხების შესწავლისადმი.

სამდღიანი ინტერდისციპლინური კონფერენციის ფარგლებში სხვადასხვა თაობის უცხოელი და ქართველი მკვლევრები განსხვავებული კუთხით განიხილავდნენ კავკასიას ანტიკურ ხანაში, შუა საუკუნეებსა და თანამედროვე ეპოქაში; მსჯელობდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ კავკასიის აღქმის თავისებურებებს ანტიკურ მითოლოგიასა და თანამედროვე ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში. აკადემიურ და შემეცნებით ღირებულებასთან ერთად, კონფერენციაზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა ერთგვარად შეაჯამა ქართველ და უცხოელ მკვლევართა თანამშრომლობის მნიშვნელობა, რომლის მიზანია კავკასიის ხალხების საერთო კულტურული და ისტორიული საგანძურის შენარჩუნება და პოპულარიზაცია.

ღონისძიების გახსნას საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარია თეოდორუ, თსუ-ს რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი თეიმურაზ დოჭვირი, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი ტიმო შტიკლერი, უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„ეს კონფერენცია ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე აღსანიშნავია იენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომელიც 1966 წლიდან იწყება და საერთაშორისო აღიარების კონტექსტში გვეხმარება“, – აღნიშნა პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა

კონფერენციის მასშტაბურობა, ძირითადად, ორმა ფაქტორმა განაპირობა: თემატიკის მრავალფეროვნებამ და უცხოელი და ქართველი მკვლევრების გაუნელებელმა ინტერესმა კავკასიის ისტორიის, კულტურის საკითხების შესწავლისადმი.

საქართველოში მარიამ თეოდორუმ, რომელმაც ხაზი გაუსვა ასეთი საერთაშორისო კონფერენციების მხარდაჭერის მნიშვნელობას: „საბერძნეთის საელჩო მოხარულია – მხარი დაუჭიროს ასეთ პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობის გაზრდასა და გაღრმავებას, მათ შორის, კავშირების განმტკიცებას“.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა თეიმურაზ დოჭვირმა ფონდის სახელით ქართველ და უცხოელ მეცნიერებს კონფერენციის გახსნა მიულოცა და აღნიშნა: „რუსთაველის ფონდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებდა, ახორციელებს და მომავალშიც განახორციელებს ასეთ საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის გაძლიერებას, მთლიანად ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში. ამის ნათელი მაგალითია ეს ღონისძიება... ასეთი ინტერესი და ასეთი მხარდაჭერა მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან, ფაქტობრივად, იმის დასტურია, რომ ჩვენმა კურსმა გაამართლა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ მომავალშიც მხარს დავუჭერთ ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას მეცნიერულ საქმიანობაში“.

„არსებობს აუცილებლობა, რომ გაგრძელდეს მიუკერძოებელი კვლევები კავკასიოლოგიის მიმართულებით და ეს კვლევები ხელმისაწვდომი გახდეს მომავალი თაობებისათვის. კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია მონაწილეებით, ქვეყნების რაოდენობითა და წარმოდგენილი მოხსენებებით. ჩვენი მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობაა ამ სამეცნიერო სიახლეების მიღება“, – აღნიშნა თსუ-ს პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა.

კავკასია ანტიკურ ხანაში, კავკასია შუა საუკუნეებში, კავკასია თანამედროვე ხანაში, კავკასია მითებში, თანამედროვე ლიტერატურაში, კინოში, თეატრში – ეს ის თემებია, რომელზეც იმსჯელეს და საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა.

„ჩვენ შევეცადეთ, რომ ჩვენი სამეცნიერო ფორუმი გვექცია მნიშვნელოვან კულტურულ და საგანმანათლებლო-შემეცნებით მოვლენადაც. უცხოელ კოლეგებს წარვუდგინეთ ქართული არქეოლოგიის უახლესი და უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები გრაკლიანის გორასა და ქუთაისში. დავათვალიერებინეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმი და კომპლექსი. ასევე შევთავაზეთ სტუდენტური ჩვენება „ვარიაციები ანტიკური სამოსელის თემაზე“, რომელიც ასევე იენისა და ჩვენი უნივერსიტეტების თანამშრომლობის ფარგლებში მოამზადეს გერმანელმა კოლეგამ ანიგრეტ პლონტკი-ლიუნინგმა და ჩვენმა პროფესორმა ნანა ტონიამ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კონფერენციის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის. საგანგებოდ გამოვყოფდი ქალბატონი ნინო ოკრიბელაშვილის მხარდაჭერას, რომელმაც თსუ-ს სახელით ღირსეულად უმასპინძლა სტუმრებს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წვლილს. ასევე განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ბატონ ვახტანგ ლიჩელს და ქალბატონ ნინო ლორთქიფანიძეს, რომლებმაც დრო და ენერგია არ დაიშურეს, რომ ჩვენი სტუმრებისთვის ქართული კულტურა და ანტიკურ სამყაროსთან მისი მიმართებები რელიეფურად წარმოეჩინათ“ – განაცხადა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ირინე დარჩიამ, რომელმაც ასევე დიდი მადლობა გადაუხადა კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტს, უცხოელ მეცნიერებსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლებმაც კონფერენციის ასეთი მასშტაბურობა და მაღალ დონეზე ჩატარება უზრუნველყო.

ირინე დარჩია

თეიმურაზ დოჭვილი

მიხეილ ქურდიანის საიუბილეო საღამო

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ორგანიზებით საქართველოს მწერალთა სასახლეში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის (2003-2010 წწ.), ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის, კავკასიოლოგისა და პოეტის, თსუ-ს პროფესორის მიხეილ ქურდიანის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამო გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, მწერალმა დავით შემოქმედელმა.

მიესალმნენ: ქუთაისელ-გაენათელი ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი იოანე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

მომხსენებით გამოვიდნენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ბრეგაძე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, პოეტი, მთარგმნელი ნინო ქუთათელაძე, პროფესორი ეკა ვარდოშვილი, პოეტი ერეკლე საღლიანი.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ღვინჯილია, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი იულონ გაგოშიძე, დ. ნაზარაშვილის კლინიკის დირექტორი, ქუთაისის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი მერაბ კვიცარიძე, პროფესორი მირონ ფირცხელანი, პროფესორი მარინა ჯიქია, პოლიტიკოსი თემურ შაშიაშვილი, გენერალ-მაიორი ნუგზარ ბაბუციძე, მთარგმნელი ციური გარუჩავა, ფილოლოგი მანანა სოტკილავა.

ნაჩვენები იქნა ვიდეოკადრები მიხეილ ქურდიანის ცხოვრებიდან.

ღონისძიების ბოლოს სამადლობელო სიტყვებით გამოვიდნენ: მეუღლე სოფო ლობჟანიძე და შვილი ლევან ქურდიანი.

მომხსენებლებმა ისაუბრეს მიხეილ ქურდიანის, როგორც ლინგვისტისა და ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის, პოეტისა და მწერლის, როგორც საზოგადო მოღვაწის შესახებ და აღინიშნა, რომ მიხეილ ქურდიანის ნიჭი და შესაძლებლობები მის სიცოცხლეში სათანადოდ არ იქნა დაფასებული, თუმცა მან თავისი ხანმოკლე ცხოვრებით წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებასა და ყველა იმ სფეროში, სადაც კი იგი მოღვაწეობდა.

პროფესორი მიხეილ ნიორაძე გარდაიცვალა

თსუ-ს ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსიტუტის დირექტორი, პროფესორი მიხეილ ნიორაძე.

მიხეილ ნიორაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ორ პერიოდს. პირველი დაკავშირებულია დუბნის ამაჩქარებელზე რელატივისტური ბირთვული ფიზიკის სფეროში შესრულებულ კვლევებთან, ხოლო მეორე იულიხის კვლევითი ცენტრის ამაჩქარებელზე ჩატარებულ ექსპერიმენტებთან. პროფესორ მიხეილ ნიორაძის მიერ თანაავტორებთან ერთად შესრულებულმა სამეცნიერო შრომათა ერთმა ციკლმა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის პრემია (1998 წ.) დაიმსახურა, ხოლო შედგენილი სისტემების რელატივისტური ტალღური ფუნქციების კვლევასთან დაკავშირებულმა შრომათა მეორე ციკლმა – საქართველოს ეროვნული პრემია (2009 წ.).

1993 წლიდან მიხეილ ნიორაძე, თავისი ჯგუფით, მიწვეული იყო ქ. იულიხის კვლევით ცენტრში (გერმანია) საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ექსპერიმენტებისთვის მისი ხელმძღვანელობით თსუ-ს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში დამუშავდა და შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ჩერენკოვის მთვლელები, რომლებიც გამოიყენებოდა იულიხის სამეცნიერო ცენტრის ამაჩქარებელზე. მიხეილ ნიორაძის ინიციატივით, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ინიცირებული იყო ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების სპინური სტრუქტურის შესწავლის მრავალწლიანი პროგრამა, რომელიც წარმატებით დასრულდა 2016 წელს. პოლარიზაციული ექსპერიმენტების შედეგები შესულია ნუკლონ-ნუკლონ ურთიერთქმედების მონაცემთა მსოფლიო ბაზაში.

პროფესორმა მიხეილ ნიორაძემ, გერმანელ კოლეგებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა გერმანულ-კავკასიურ სკოლა-სემინარს ჰადრონულ ფიზიკაში, რომელიც 2004 წლიდან დღემდე ტარდება თბილისში ყოველ ორ წელიწადში. გერმანული მხარის ინიციატივით, ის ტრანსფორმირდა ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის კონცეფციად. ამ პროექტის ფარგლებში, ქართველი სტუდენტების მიერ შესრულებული იყო 11 სამაგისტრო და 6 სადოქტორო ნაშრომი იულიხის კვლევით ცენტრში.

მიხეილ ნიორაძის უშუალო მონაწილეობითა და თანაავტორობით გამოქვეყნებულია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (დაახლოებით 80 მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო და 1 აკადემიური ხარისხის სადოქტორო დისერტაცია.

მიხეილ ნიორაძემ 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს – სადოქტორო დისერტაცია. მას მინიჭებული ჰქონდა პროფესორის აკადემიური ხარისხი. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თსუ-ს ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტს.

ბატონი მიხეილის, როგორც შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგის, ხელმძღვანელის, ღრმად ერუდირებული, გულისხმიერი და კარგი ადამიანის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, თანამშრომლების, მოწაფეების მეხსიერებაში.

ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა დიდი მეცნიერი

შალვა გაბესკირიას ამ ქვეყნიდან გარდასვლას ვერაფრით ვერ ვეგუებით და ამის გამო გვიჭირს მისი ხსენება წარსულში. იგი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთაშორისო ორიენტალისტურ ცენტრებში. აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურების სრულყოფილი ცოდნა, ანალიზის უნარი მას თურქოლოგიის პრობლემების კვლევის მოწინავე პოზიციებზე ერთ-ერთ საუკეთესო სწავლულად წარმოაჩენდა. დაუვიწყარია შალვა გაბესკირიას სამეცნიერო ღვაწლი და საოცარი პიროვნული ღირსებები. ქართული სიტყვისადმი უაღრესად ფაქიზი და პასუხისმგებლური მიდგომა მის უმაღლესი რანგის პროფესიონალურ შემოქმედებაზეც აისახა. სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონის მქონე შალვა გაბესკირიას ხელეწიფებოდა რთული საკითხების დამაჯერებელი და მკაფიო ახსნა. მას ჰქონდა უზადო ფილოლოგიური ნიჭი, შესაშური ერუდიცია, არაჩვეულებრივი ლინგვისტური ალღო და სტილის შეგრძნება.

ქართული თურქოლოგიური სკოლის საკვლევ თემატიკაში შალვა გაბესკირიას სამეცნიერო მოღვაწეობას თავისი ადგილი ჰქონდა, სადაც აუნჯებდა დაკვირვებებს თურქული ენისა თუ ლიტერატურის შესახებ.



თვალი გადავავლე შალვა გაბესკირიას ბოლო ოცი წელიწადის პუბლიკაციებს (გამოქვეყნებული ოცდაათამდე სამეცნიერო სტატია და ერთი მონოგრაფია – „იუნუს ემრეს ნაწარმოებთა ლექსიკა“ (რუსულ ენაზე) არ მაქვს მხედველობაში). გამომეკვეთა და თქვენც მინდა გაგიზიაროთ ეს აზრი: იგი ამა თუ იმ საკითხის ციკლური, სისტემური მკვლევარი იყო. ასე, მაგალითად:

1) ქართველთა თვითსახელწოდება, საქართველოს, მისი დედაქალაქებისა და ქართველის აღმნიშვნელ აღმოსავლურ ტერმინთა წარმომავლობა და ისტორია– ამ საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები გაბესკირიასეული ახალი პარადიგმაა ქართველთმცოდნეობაში.

2) რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თემატურ კვლევას; ვეფხისტყაოსნისეული ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური სათავეებისა (აღმოსავლური წარმო-მავლობის სიტყვები) თუ ტაეპთა წაკითხვის თაობაზე შექმნილი წერილები ციკლური კვლევის მაღალკვალიფიციური ნიმუშებია; ასეთივეა „ვეფხისტყაოსანში“ დიალექტიზმები და რუსთველოლოგიის რიგი პრობლემური საკითხები; შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემათა კომენტარებზე, ორი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის (როსანი, დულარდუხტი); განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი სტატია „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნების შესახებ.

3) შალვა გაბესკირია საენათმეცნიერო განსწავლულობას ნაყოფიერად უთავსებდა ონომასტიკური პრობლემების კვლევას. რად ღირს გაბესკირიასეული სტატიები ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობის შესახებ, რომლებშიც საერთოდ ქართველურ სინამდვილეში გვარის კატეგორიის შექმნის საკითხიც არის შეთავსებული.

4) ღირსშესანიშნავია შალვა გაბესკირიას კვლევები აღმოსავლურ ენებში ქართული ლექსიკური ნასესხობის გამოვლენაზე.

5) იბერიულ-კავკასიური ენების ხეთურთან და ურარტულთან მიმართების საკითხები შალვა გაბესკირიამ არაერთ საერთაშორისო ფორუმზე გააჟღერა.

მასზე თავისუფლად შეიძლება ითქვას შემდეგი: იგი იყო თავისი სპეციალობის ფარგლებში – ფილოლოგიურ მეცნიერებებში – თანამედროვე დონის მკვლევარი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ანუ იყო მხატვრული ლიტერატურის მცოდნე ენათმეცნიერი, ხოლო ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას – კეთილსინდისიერი ენათმეცნიერი. გულწრფელობა, სამეცნიერო სიღრმე, აკადემიზმი, სულის სიფაქიზე, გასაოცარი კეთილსინდისიერება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა მისი თვისებების არასრული ჩამონათვალია.

შალვა გაბესკირია თავისი სასიქადულო მასწავლებლების კვალდაკვალ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეთა სკოლას ყველგან საამაყოდ წარმოადგენდა და საქართველოს გულშემატკივრად აქცევდა უცხოელ კოლეგებს. შალვა გაბესკირია იყო: მუდამ ახლის მაძიებელი, ჭეშმარიტი მეცნიერი, ალღოიანი მკვლევარი, მადლიერი მოწაფე, უმწიკვლო კოლეგა, სანიმუშო მეგობარი, მზრუნველი ხელმძღვანელი, გულანთებული მამულიშვილი, გამორჩეულად მოკრძალებული, ნათელი ადამიანი…

დიდად ვისაკლისებთ მის დამოკიდებულებას ჩვენდამი.

მისი ყოველი ქმედება იმ პატიოსანი ადამიანის პოზიციის მანიფესტაცია იყო, ვისთვისაც საქმის ერთგულება სულიერ სიმშვიდეზე უფრო მაღლა იდგა. გვჯერა, სიკეთის საზღაურად ღმერთი ნათელში ამყოფებს მის სულს.

მარიკა ჯიქია, პროფესორი

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ფოლკლორული ჯგუფის „სამი და“ წევრებს უმასპინძლა

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა სტუმრებს უნივერსიტეტის ისტორია, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები გააცნო.

ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს საკუთარ შემოქმედებაზე, საქართველოსადმი განსაკუთრებულ სიყვარულსა და კავშირზე. ასევე, დაიგეგმა ერთობლივი კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

შეხვედრის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოლკლორული ჯგუფის წევრებმა, მათი მუსიკით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, კონცერტი გამართეს.

ფოლკლორული ჯგუფის წევრები თურქეთში მცხოვრები სამი ქართველი და არის, რომელთა რეპერტუარის ძირითად ნაწილს ქართული ფოლკლორული სიმღერები წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაიბადნენ სტამბოლში, იზრდებოდნენ ქართული ენის, ქართული მუსიკისა და ქართული ცეკვის სიყვარულით. „სამი და“ თურქეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის ბაიარ შაჰინის (გუნდარიძე) ქალიშვილები არიან, რომელმაც გოგოებს შეაყვარა და შეასწავლა ქართული სიმღერები.

ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლეგენდარული ანსამბლის „ქართული ხმების“ კონცერტი გაიმართა

საღამო თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა, რომელმაც მადლობა გადაუხადა „ქართული ხმების“ წევრებს უნივერსიტეტში სტუმრობისთვის.

ანსამბლმა წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „წუთისოფელი“, რომლის კომპოზიციის ავტორი და მთხრობელი თემურ ჭკუასელი გახლდათ.

თსუ-ს რექტორის ინიციატივით ანსამბლ „ქართულ ხმებს“ უნივერსიტეტის ოქროს მედალი გადაეცა.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
ირმა სულიაშვილი

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტები
თორნიკე ჩხეტიანი
ნინო ელიოსიძე

კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
თინათინ ბოლქვაძე,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
577 52 77 73

ვებგვერდი:
tsu.media

ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge

tsu.media

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ ბეჭდური სახით გამოიცემა.

ეწვიეთ ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს
tsu.media

მოგვაწოდეთ ინფორმაცია გასაშუქებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს